# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 11 დეკემბერი, 2010 წელი.

№231 (6597)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## კაცობა, რომელიც ნებისმიერ შტანგაზე მძიმეა და რომლის აწევა და, მით უფრო, ტარება ყველას როდი ძალუძს!

③

– რუბიკჯან, ია ტებე ადინ უმნი ვეშჩ სკაჟუ, ტოლკო ტი ნე აბიჟაისია, პატამუ ჩტო ია ნა ტებია სერდილსია!..

## თბილისს შეიძლება „ცხელი“ ზამთარი დაუდგეს?!

2

## ნაგვის გადასახადსაც გვიძვირებენ!!!

## ⑧ ამერიკისთვის კარგი – საქართველოსთვისაც კარგი?

# ქართულ მიწებს რუსები და აფხაზები ინაწილებენ!

**სოხუმის ე.წ. ადმინისტრაციამ და აფხაზეთში რუსეთის ე.წ. საელჩომ რუსეთის საელჩოსათვის 99 წლის ვადით მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს.**

„საელჩოს შენობების ასაშენებლად მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემის შესახებ“ ლაკობას ქუჩასა და კოდორის გზატკეცილზე შეთანხმებას ხელი რუსეთის მხრიდან რუსეთის ე.წ. ელჩმა აფხაზეთში სემიონ გრიგორიევმა, აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან კი სოხუმის ე.წ. მერმა ალიას ლაბახუამ მოაწერეს. სოხუმის მერმა აღნიშნა, რომ ეს შეთანხმება რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებული მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში მოხდა, დასახელებული მიწის ნაკვეთები რუსულ მხარეს 99 წლის ვადით გადაეცა.

„რუსეთი, რომელმაც ჩვენი დამოუკიდებლობა პირველმა აღიარა, არის მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი ჩვენს მიწაზე და იგი ააშენებს სოხუმის ცენტრში და სინოპში თანამედროვე შენობებს, რომლებიც ქალაქის არქიტექტურაში ჩაეწერება“, – აცხადებს ლაბახუა.

## „რუსეთი ამჯერად არა საქართველოს, არამედ თავად სამხრეთ ოსეთის ეომება“ ④

## განცხადება




### საქართველოს სახელმწიფო შემნახველი და კერძო კომერციული ბანკების მეანაბრეთა საყურადღებოდ!

2010 წლის 17 დეკემბერს 10 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში იწყება მეანაბრეთა კავშირის თავმჯდომარის, დამსახურებული იურისტის, პროფესორ უშანგი დონჯაშვილის (893 592 339) სარჩელის განხილვა მეანაბრეთა ვალების გასტუმრების ღონისძიებების შესახებ.

მოსამართლეა ქალბატონი ნანა დარასელია.

სხდომის დარბაზი №33.

პოლიტიკური პარტია „ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭო

## საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ⑤ ბევრნი ვართ!

სწორედ ეს მაძლევს იმედს, რომ გადავრჩებით, თორემ ამათ ხელში!..



⑤

## ხევსურები მთას დაუბრუნდებიან?

## თამაზ ჩხენკელის ⑦ უკანასკნელი ინტერვიუ



თვალსაზრისი



**პრიორიტეტად ტურიზმის განვითარების გამოცხადებისა და ამავდროულად, 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში მნიშვნელოვანი დარგების დაფინანსების შემცირების გამო, ოპოზიცია და საზოგადოების ნაწილი ხელისუფლებას არასწორ სამეურნეო არჩევანსა და მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულს. მათი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ არ უნდა დახარჯოს კოლოსალური თანხები რისკის შემცველ პროექტებზე მაშინ, როდესაც დაფინანსება უმცირდება სხვა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დარგებს.**

**ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკის შესაძლო შედეგებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" ყოფილ ფინანსთა მინისტრს და ეკონომიკის ექსპერტს დავით ონოფრიშვილს ესაუბრა.**

# ბიუჯეტიდან არ უნდა მიედინებოდეს დიდი თანხები ტურიზმში, როდესაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ 1,8 მილიონი ადამიანი ცხოვრობს

— ტურიზმი უნდა იყოს ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი, მაგრამ ამაში ფულის ჩადება უნდა ხდებოდეს მაშინ, როცა ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინება და ტურისტული ფირმებისა და სასტუმროების დაინტერესება ბუნებრივად მოხდება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ უნდა მიედინებოდეს დიდი თანხები ტურიზმის სფეროს პირდაპირ განვითარების ხარჯებზე, როდესაც საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1,8 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ტურიზმის განვითარების წინააღმდეგი ნამდვილად არავინ არის, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს გარკვეული პრიორიტეტების დაცვით და იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც საქართველოს მოსახლეობას გააჩნია.

**— რამდენად სწორად ხდება ტურისტული ობიექტების შერჩევა? მაგალითად, ანაკლიის პროექტს სავარაუდოდ დიდი რისკები ახლავს, რადგან კონფლიქტის ზონასთან მდებარეობს და ეს ფაქტორი, როგორც წესი, ინვესტორებს და ტურისტებს აფრთხობს,. გამართლებულია თუ არა ასეთ სარისკო პროექტში დიდი თანხების ჩადება, როდესაც სათანადო ყურადღება არ ექცევა თუნდაც ბორჯომის საკურორტო ზონას, რომელსაც მსოფლიო დონის კონკურენტუნარიან კურორტად გადაქცევის რესურსი აქვს და ამავდროულად, ერთგვარ ბრენდს წარმოადგენს?**

— ჩვენთან არის ავტორიტარული, ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების რეჟიმი. ხშირ შემთხვევაში, მსგავსი პროექტების განხორციელება ვიწრო ჯგუფის მიერ წყდება.

**— ანუ იგივე ანაკლიის პროექტი შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილის პირადი აკვიატება იყოს?**

— როგორც გინდათ ისე დაარქვით. მაგრამ ეს იყო რამდენიმე ადამიანის გადაწყვეტილება. ხშირად ასეთი გადაწყვეტილებები არ ეფუძნება კონკრეტულ გათვლებს, რისკიანობას და ასე შემდეგ. გახსოვთ, თავიდან ბაკურიანი როგორ ატაცებული ჰქონდათ. ახლა ვიღას ახსოვს? რა, ბაკურიანის ფასმა და უნიკალურობამ დაიკლო? ჯერ ბაკურიანი იყო მოდაში, მერე ბათუმი, ახლა ანაკლია და განმუხური. ტურიზმის განვითარებაში სახელმწიფოს როლი გამოიხატება იმაში, რომ მან რაღაც პირობები შეუქმნას, მაგრამ ერთბაშად ამხელა რესურსი არ უნდა ხარჯოს, თორემ ყოველწლიურად ტურიზმის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება აუცილებელია. ტურიზმი ხომ მარტო გზა არ არის?!. ტურისტის საკვებით მომარაგებაზეც უნდა იზრუნო და როცა შეგიძლია შენი წარმოებული პროდუქტი შესთავაზო, რატომ უნდა მიუტანო იმპორტირებული?! ტურიზმში ფულის ჩადება ხდება სხვა სფეროების ხარჯზე, როდესაც შეიძლება იგივე სოფლის მეურნეობის განვითარებით ტურიზმის განვითარებასაც შეუწყო ხელი. ამ დარგის ასაღორძინებლად 7 წლის მანძილზე 20-გვერდიანი სტრატეგიაც კი არ აქვთ შემუშავებული, არათუ კონკრეტული პროგრამები. პარალელურად სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტზე მინიმალური ტარიფია დაწესებული, რის გამოც ადგილზე წარმოებული პროდუქცია იმპორტირებულს კონკურენციას ვერ უწევს.



**— ხელისუფლებამ არ იცის, რამდენად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის დარგი ქვეყნის განვითარებისთვის?**

— არა, ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება. მიაჩნიათ, რომ ეს სწორია, რადგან ეს არის ლიბერალური ეკონომიკის ნაწილი, რაც თავისთავად შეცდომაა. ლიბერალური ეკონომიკა არ ნიშნავს, რომ არ მიხედო სოფლის მეურნეობას. ფსევდოლიბერალური ეკონომიკის ქვეშ ნეობოლშევიკური ტიპის ეკონომიკური პოლიტიკა ტარდება. სასურსათო დამოუკიდებლობა პრაქტიკულად, დაკარგული გვაქვს, რადგან 80 პროცენტით იმპორტზე ვართ დამოკიდებული. სხვა ქვეყნებიდან ისეთი პროდუქტებიც კი შემოდის, რომელიც ტრადიციულ ქართულ მეურნეობად ითვლება და მისი წარმოება ადგილზეც შესაძლებელია. როდესაც შენი ქვეყნის პროდუქტს კონკურენციას უწევს სხვა ქვეყნის მიერ სუბსიდირებული სამეურნეო პროდუქცია, ოდნავ მაინც უნდა დაიცვა საკუთარი ბაზარი. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია, რომ ქვეყანაში კატასტროფულად იკლო ხორბლის მოსავალმა. ადგილზე ხორბლის მხოლოდ 7 პროცენტს ვაწარმოებთ. 70 პროცენტით არის შემცირებული ჩაის წარმოება, 40 პროცენტით — კარტოფილის და სიმინდის, 60 პროცენტით — სხვადასხვა სახის ბოსტნეულის. ყველაფერში სრული კლებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მეურნეობის დარგში მცირდება დასაქმებულთა რიცხვიც. სწორედ ამიტომაა, რომ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1,8 მილიონი ადამიანიდან ყველაზე მეტი სოფლებში ცხოვრობს.

**— 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში ამ დარგის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა რამდენად საკმარისია?**

— 2011 წლის ბიუჯეტის პროექტში სოფლის მეურნეობისთვის 109 მილიონია გამოყოფილი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი თანხა ისეთი მნიშვნელოვანი დარგის განვითარებისთვის, როგორიც სოფლის მეურნეობაა, მით უმეტეს, რომ წინა წლებში ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. მართალია, ბიუჯეტში ფული ცოტაა, მაგრამ მისი სწორად გადანაწილება უნდა მოხდეს და ამ დარგისთვის მაინც უნდა გამოინახოს საჭირო თანხები. 100 მილიონი არაფერია, 200-300 მილიონით მაინც უნდა დაფინანსდეს. წლების განმავლობაში არ ხდება გლეხების დახმარება, არც ფინანსური რესურსებით, არც სასუქებით, არც შხამ-ქიმიკატებით და არც ტექნიკით. ერთ-ერთ პრობლემას სწორედ ხანდაზმული ტექნიკა წარმოადგენს. რამდენიმე ტრაქტორი კი იყიდეს, მაგრამ გლეხმა შეღავათი ვერ იგრძნო, რადგან ძველი ტექნიკის გადასაიარაღებლად ეს საკმარისი არ არის.

ბრიფინგი

# ნაგვის გადასახადსაც გვიძვირებენ!!!

## ივანიშვილი ოზურგეთის დასუფთავებაზე კი ზრუნავს, მაგრამ მთელ საქართველოს ვერ გასწვდება

**გააძვირებენ თუ არა დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის გადასახადს უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დგას. პარლამენტი აპირებს მიიღოს ახალი კანონპროექტი „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ, რომლის მიხედვით დასუფთავებისთვის დადგენილი ზღვრული ოდენობა 1,5 ლარი მოიხსნება. აქამდე საქართველოს კანონის მე-12 პრიმა პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული იყო შემდეგი „მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოსახლეობის ერთ სულზე 1,5 ლარს თვეში. კანონპროექტის ავტორთა ინიციატივით, დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებელი მომავალში მხოლოდ თვითმმართველმა ერთეულმა უნდა განსაზღვროს და შესაბამისად ზედა ზღვრის ოდენობის დადგენის სამართლებრივი საჭიროება და აუცილებლობა არ უნდა არსებობდეს.**

ამ საკითხთან დაკავშირებით „თავისუფალი დემოკრატების" ოფისში ბრიფინგი გაიმართა. **გია ცაგარეიშვილმა და ლევან იზორიამ** აღნიშნეს, რომ ეს ინიციატივა აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის I პუნქტს, რომლის თანახმად „სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით". ამასთანავე ის წინააღმდეგობაში მოდის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მეორე პუნქტის ზ. ქვეპუნქტთან, სადაც, მართალია, თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებაა „ადგილობრივი განაკვეთის დადგენა", მაგრამ მხოლოდ „კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში".



**„თავისუფალი დემოკრატები" კანონპროექტის მიღების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოში ჩივილს აპირებენ. საგულისხმოა, რომ „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" კანონის თანახმად, „უკანონოდ ან კანონის დარღვევით შემოღებული ადგილობრივი მოსაკრებლის სახით გადახდილი თანხა გადამხდელს უბრუნდება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან ერთი თვის ვადაში".**

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო თითქმის არ არის, ბრძოლა წინასწარვე განწირულია, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო. ან შესაძლოა, დეპუტატები მოეგონ გონს და გაჭირვებული მოსახლეობის სოციალური ცხოვრების კიდევ უფრო დამძიმებას შეეშვან.

სხვათა შორის კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთ კვლევაში აღნიშნულია შემდეგი:

დედაქალაქში დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ქ. თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კონტრაქტორები უზრუნველყოფენ. ქალაქ რუსთავში დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის სფეროში მუნიციპალიტეტში არ არსებობს რაიმე სახის წესი ან ნორმა, რითაც შეიძლება შესაბამისი სამსახური ხელმძღვანელობდეს. არც გორის მუნიციპალიტეტში არსებობს რაიმე სახის რეგულაცია. რაც შეეხება, ოზურგეთს, ამ სფეროს მოწესრიგება-რეგულირებაზე მთელ პასუხისმგებლობას ქართველი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი იღებს.

აი, ოზურგეთის მოსახლეობას ნამდვილად გაუმართლა, მაგრამ ქველმოქმედი ივანიშვილი მხოლოდ ერთია და სამწუხაროდ, ის მთელ საქართველოს დასუფთავებაზე ვერ იზრუნებს...

**ნია ფიფია**

დედაქალაქი

# თბილისს შეიძლება „ცხელი" ზამთარი დაუდგეს?!

**გადაწყვეტილი ამბავია, რომ თბილისის მერია სამარშრუტო ხაზების სრულ რეაბილიტაციას გეგმავს და უკვე გამოცხადებულია კიდევაც შესაბამისი ტენდერი. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად, ქალაქის ხელმძღვანელობამ პროფკავშირების მხრიდან არსებული ძირითადი მოთხოვნები დააკმაყოფილა, საუბარია მძღოლების დასაქმებაზე, ტენდერის 5 ლოტად ჩატარებასა და ტენდერის გამჭვირვალობაზე. დაყენებული მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირული კავშირების თავმჯდომარე ლავრენტი ალანია და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ქრისტიან-დემოკრატი ჯაბა სამუშია, შეყვანილი არიან სატენდერო კომისიის შემადგენლობაში.**

თუ რამდენად შესაძლებელია ტენდერის გამჭვირვალობა, ამაზე საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს. კომისიის წევრი ლავრენტი ალანიას განცხადებით ტენდერი აუცილებელი იყო, მაგრამ ამისთვის გარკვეული დრო, რამდენიმე თვე იყო საჭირო, რომელიც მძღოლებსა და კომპანიებს დასჭირდებოდა მოსამზადებლად. ხელისუფლებამ ბოლო ვადად იანვრის შუა რიცხვები დაასახელა. ეს კი სრულებით არ არის საკმარისი. უნდა შემუშავდეს სპეციალური დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება ტენდერის გადადების ვადა, ასევე ის ხალხი, რომლებიც დასაქმებულია ამ სფეროში, ტენდერის დასრულების შემდეგ, გამარჯვებულმა კომპანიებმა უზრუნველყონ სამუშაო ადგილებით და თუ ხელისუფლებას უკვე არ ყავს გამარჯვებული კომპანიები, მაშინ სრულებით არ იქნება პრობლემა



მსგავსი მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელსაც კომისია მოითხოვს — განაცხადა ქრისტიან-დემოკრატმა ჯაბა სამუშიამ, ამავე კომისიის წევრმა.

ხოლო თუ რამდენად მოხდება ტენდერის გამჭვირვალობა და არსებული სიტუაციის მოგვარება, ამას დრო გვიჩვენებს. ის საფრთხე კი, რომელიც სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს ემუქრება, მართლაც რომ რეალურია. თბილისს მომდევნო ულუკმაპუროდ დარჩენილი ათასობით ადამიანის ტალღა ელოდება?!

**ლუკა წერეთელი**

სიმართლე უნდა ითქვას!

# კაცობა, რომელიც ნებისმიერ შტანგაზე მძიმეა და რომლის აწევა და, მით უფრო, ტარება ყველას როდი ძალუძს!

**– რუბიკჯან, ია ტებე ადინ უმნი ვეშჩ სკაჟუ, ტოლკო ტი ნე აბიჟაისია, პატამუ ჩტო ია ნა ტებია სერდილსია!..**



**— ეს ფრაზა, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ფრიად პოპულარულია ჩვენში , როგორც იტყვიან, ბავშვმაც კი იცის, რომელი ქართული ფილმიდანაა, ისევე, როგორც ყველამ იცის, რომ ე. წ. ვარდების რევოლუცია ამერიკულ-სომხური პროექტია. ამის შესახებ ამ ბოლო დროს ბევრი ხმამაღალი განცხადება მოგვისმენია როგორც პოლიტიკოსების, ასევე შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთაგან. თუნდაც შალვა ნათელაშვილი და რეზო ამაშუკელი გავიხსენოთ...**

აქედან მოდის ის უბედურება, რომ ნაცების მთავრობაში არა ერთი და ორი სომეხია! აკაკის „ღამურას“ მსგავს, ანუ, გვარგადაკეთებულ სომხებზე მოგახსენებთ, თორემ რომელ ჭკუათმყოფელს, მით უმეტეს ქართველს, და კიდევ მით უმეტეს, თბილისელს მოუბრუნდება ენა ჩვენი ისტორიული ძმების, ქრისტიანი სომეხი ერის მიმართ სიტყვა უბედურება იხმაროს — იმ ბანალურ ტრაფარეტსაც რომ თავი დავანებოთ, როგორიცაა — „ბევრი სომეხი მეგობარი მყავს“, ჰაოსი და ქართლოსი ხომ ერთი დედმამიშვილები იყვნენ?

სხვათა შორის, იგივე მინდა ვთქვა ჩვენი მუსლიმი ძმების, აზერბაიჯანელების მიმართაც, რადგანაც ქართველ კაცს არც სარწმუნოებრივი კუთხით განსხვავებია ოდესმე ადამიანები. ამის დასტურად ხალხური ფოლკლორიდან მოყოლებული — „ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩემი ძმა არის“ და ვაჟას „სტუმარმასპინძელით“ გაგრძელებული თუ შედარებით ახლო — „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცეო“ კმარა.

**თუნდაც ხუდია ბორჩალოელი რად ღირს, რომელიც თავის აზერბაიჯანელების რაზმთან ერთად ყველა ბრძოლაში თან ახლდა ერეკლე II პატარა კახს, როგორც წესი, საკუთარი სისხლით თუ სარწმუნოებრივ ნათესავთა წინააღმდეგ ომებში!**

ეს არცთუ მცირე ისტორიულ-რომანტიული ექსკურსი ისე, ცნობისათვის და იმათთვის, ვინც გაბედავს და ქართველ კაცს (მათ შორის, თქვენს მონამორჩილსაც) ქსენოფობიაში, რელიგიურ შეუწყნარებლობაში, ერთაშორისი შუღლის გაღვივებაში დასდებს ბრალს, რადგანაც წინამდებარე წერილში სწორედ ერთ ასეთ აკაკისეულ „ღამურაზე“, ნაცების „ინტელექტუალურ“ სახეზე, გიორგი (რუბენ) ასანიძეზე (ღვთისიევზე), უფრო სწორად მის ბოლო ცინიკურ ნათქვამზე გვექნება საუბარი, რომელიც „ასავალ-დასავალში“ ამოვიკითხე:

### მჯერა, საქართველო სწორედ მიხეილ სააკაშვილის ხელში აყვავდებაო!

**აი, ასე დაუსათაურებია ინტერვიუ ოლიმპიურ ჩემპიონ გიორგი ასანიძესთან „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტ მეგი საჯაიას.**

რას იზამ, სჯერა კაცს და რა ქნას? ჰოდა, ქვემოთ მოვიყვან ამ „მჯერას“ გამამყარებელ მარგალიტებს:

**„...ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი არ არის კონკრეტული ადამიანებისათვის პრობლემების მოგვარება. ახლა ქვეყნის იმიჯისათვის ბრძოლის, სტაბილურობის შექმნის, საქართველოს გალამაზებისა და ინვესტიციების მოზიდვის დროა“.**

ჰა, როგორია? ამაზე მეტი თავხედობა და ცინიზმი გაგონილა? თუმცა ჯერ სადა ხართ!..

**„...მისასალმებელია, რომ საქართველო მსოფლიომ უკვე აღიარა, როგორც ერთ-ერთი წარმატებული რეფორმატორი ქვეყანა“.**

**„...იმის განცდა** (ვინ განიცდის როო? — **ავტ.**), **რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ყველა ადამიანს ერთბაშად დაასაქმებს, მცდარია“.**

**„...ბატონი მიხეილი განიცდის** (რომ განიცდიდეს, ეს გაუთავებელ, უაზრო ტაშ-ფანდურებში გადაყრილ მილიონებზე ეტყობა — **ავტ.**), **რომ ბევრი ადამიანი არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ“...**

ერთობ გულის ამაჩუყებელია, არა? ახლა თავს დავანებებ სხვა ისეთ გულახდილ თუ თავხედურ პასაჟებს, როგორებიც არის ის, რომ გადასახადები ისევ ჩვენი, მოსახლეობის სასიკეთოდ ძვირდება, ან ის, რომ მიშა არ გადადგება 20-30 გინდაც 300 ათასი კაცის მოთხოვნით და შტანგისტის მთავარ ცინიზმზე ვთქვათ:

**„რა ქნან იმ ადამიანებმა, ვინც არც მუშაობს და არც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება“** (ამ კითხვის დასმაზე უფრო უპრიანი იქნებოდა მეგი საჯარიას ეთქვა, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ყოფნის სტატუსს არ აძლევენ თორემ... — **ავტ.**)?

თუმცა კითხვა დაისვა და ახლა ნახეთ, რას უპასუხებს ასანიძე...

**„...უფასო ქვეყნად არაფერია. რასაც მოვიხმართ, უნდა გადავიხადოთ კიდევაც. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას არა აქვს ის ფუფუნება, რომ მოქალაქეებს გადასახადები არ გადავახდევინოთ. ვისაც რამდენის გადახდის საშუალება გვაქვს, იმდენი დენი, გაზი და წყალი უნდა მოვიხმაროთ“...**

და იქვე **„...მეც ჩვეულებრივად ვცხოვრობ, დავდივარ ბაზარში და პატიოსნად (??? — ავტ.) ვიხდი გადასახადებს“...**

რა ჰქვია ამას, ხალხო! ცინიზმი, თავხედობა თუ, უბრალოდ და მარტივად, უნამუსობა? ჰოდა, მინდა თქვენთან ერთად ვკითხო მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს, „ხალხის რჩეულ“ დეპუტატს, პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის კომიტეტის თავმჯდომარეს გიორგი ასანიძეს — **რამდენი ათასი ლარი აქვს ხელფასი, „ჩვეულებრივად რომ ცხოვრობს და პატიოსნად იხდის გადასახადებს“?**

ან ჩვენ რა ვქნათ — „დროებით“ უმუშევრებმა და სიღატაკის სტატუსმიუნიჭებლებმა? რადგანაც გადახდის საშუალება არ გვაქვს, ამიტომ სიბნელეში და სიცივეში უნდა ვიყოთ? წყალს რაღას გვემართლებიან? როგორც არაბეთი ნავთობს, საქართველო წყალს მიაქვს და რა ვქნათ, თუ ცივი ჭადი (თუ ვიშოვეთ) ყელში გაგვეჩხირა, დავიხრჩოთ თუ დაუბანელები ცოცხლად ავყროლდეთ?

ჩვენთვის რა ფასი აქვს (არა, ფასი და თანაც ძალიან ძვირი ნამდვილად აქვს), უფრო სწორად ჩვენ, უბრალო მოკვდავთ რა ხეირი იმისგან, რომ შევარდნაძის „ბნელი დროისგან“ განსხვავებით, გაზიც გვაქვს და შუქიც — რად მინდა, თუ ვერც ერთს ვერ ავანთებ? იმითი უნდა ვინუგეშოთ თავი რომ ამ შტანგისტის ნათქვამით, სამწუხაროდ, საქართველოს არა აქვს იმის ფუფუნება, რომ?..

**სამაგიეროდ იმის ფუფუნება ხომ გვაქვს, რომ ასანიძეებს ათიათასობით ლარი ხელფას-პრემიებად ვუხადოთ? მეტი გზა არ არის — ვისაც შუქი გინდათ და ვერ იხდით, გაჩახჩახებულ რუსთაველზე დატკბით, ფუი ეშმაკს, ილიჩის კი არა, მიხეილ ნიკალაევიჩის ნათურა-ჭაღების ბრდღვიალით, ხოლო ვისაც გაზი გინდათ, გმირთა მოედანზე „ВЕЧНЫЙ ОГОНЬ“-თან გათბით!**

ამ ყველაფრის პარალელურად კი მიბაძეთ გიორგი ასანიძეს, თუ როგორ უნდა ჩვეულებრივად ცხოვრება, ბაზარში სიარული და გადასახადების პატიოსნად გადახდა!

ყველას ემახსოვრება, როგორ უღალატა იმხანად ახლად გაოლიმპიურჩემპიონებულმა შტანგისტმა თავის, და არა მხოლოდ თავის, ზოგადად ქართული სპორტის მამამარჩენალს, ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილს — მან ერთ-ერთმა პირველმა „მიაზილა წიხლი“ ბადრის! ოღონდ „მცირე რამ“ დაავიწყდა, — ის ნახევარი მილიონი ლარი უკან დაებრუნებინა „კრემლის აგენტ“ პატარკაციშვილისთვის, ანუ, „რუსული ფული“, რომელიც მან ოლიმპიური ჩემპიონობისთვის პირადად პატარკაციშვილისგან ჯილდოდ მიიღო!

**ზემოთ აქამდე თქმული რომც არ იყოს სიმართლე, ასანიძის „კაიკაცობის“ დასტურად ბადრი პატარკაციშვილთან გამოჩენილი უმადურობაც კმარა. ასეთები რომ იცი, მაშინ უფრო გახსენდება და გიმძაფრდება სხვა ამბებიც, რადგანაც კეთილისმყოფლის უარმყოფელი კაცი ყოველთვის საეჭვოა.**

ასეა, „ღამურები“ არავისში არ იმსახურებს პატივისცემას, პირველ რიგში დიდი სომეხი ერისთვის არიან მიუღებელნი გვარგადაკეთებული, საკუთარი ჯიშჯილაგის უარმყოფელი, თუნდაც ოლიმპიური ჩემპიონი თანამოძმენი და მერესხვებისთვის, თორემ ჩემპიონები, თუნდაც სომხები, რომლებიც საქართველოს სახელით გამოდიოდნენ, ბევრი ვიცით. მაგალითად რაფაელ (რაფიკ) ჩიმიშკიანი. ეს ძირძველი თბილისელი, ვერელი კაცი ერთ-ერთი პირველი ოლიმპიური ჩემპიონია, რომელიც საქართველოს სახელით გახდა ჩემპიონი და არა მხოლოდ ძალოსნობაში, ზოგადად ქართული სპორტის ისტორიაში.

დღესაც ცოცხალია და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს რაფაელ ჩიმიშკიანი, რომელსაც საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიუჩნევია, მაგრამ გვარის გადაკეთება აზრადაც არასოდეს მოსვლია, რადგანაც შტანგის აწევა ერთია, მთელი ცხოვრების მანძილზე კაცობის სიმძიმის ტარება კი — მეორე და გაცილებით ძნელი!

ასეა ეს, ბატონო ასანიძე! როგორი პერიფრაზითაც დათა თუთაშხია იტყოდა, ხოლო თუ რამაზ ჩხიკვაძის გმირის ნათქვამსაც გავიხსენებთ, კინოფილმ „ნერგებიდან“ — კაცი უნდა იყოს კაცური, თორემ მიწას თხუნელაც კი ჩიჩქნისო, უფრო სწორად მის პერიფრაზს, კაცი უნდა იყო კაცური, თორემ შტანგას კახური ვირიც გაქაჩავსო!

**ასეა, ამას მე გეუბნები გიორგი ასანიძევ! ტოლკო ტი ნე ობიჟაისია, პატამუ ჩტო ია სამ ნა ტებია ოჩენ სერდილსია!**

დავით მხეიძე

წკეპლიკა

# მექსიკაში რა გინდოდა...

**დიახ, მორიგი აფრენითა და გაფრენით მექსიკაში გაემგზავრა ქვეყნის მოუსვენარი, ენადაუღლელი და მუხლმოუხრელი პრეზიდენტი. ტელეკადრში მარდად აირბინა უზარმაზარი ლაინერის კიბის საფეხურები; მაშ როგორ — უზარმაზარი საპრეზიდენტო სასახლის პატრონს თვითმფრინავიც ასეთი უნდა ჰყავდეს (თუ ჰქონდეს?..).**

მექსიკაში რა უნდოდა? კლიმატისადმი მიძღვნილი მსოფლიო სამიტი იმართებოდა თურმე თუ რაღაც მაგდაგვარი. რა კლიმატოლოგი ეგა მყავს? მერე რა — „პიაროლოგი“ ხომ გვყავს. ეგეც არ იყოს, მოუნდა „გაგულავება“ კაცს, ქვეყანაზე, ხალხზე ფიქრითა და ზრუნვით გადაღლილ-გადაქანცულს. მერე კიდევ რა, რომ აქ სოციალური კლიმატი ვერ მოუგვარებია და რა დროს მსოფლიო კლიმატით დაინტერესება იყო... გაიფრენ-გამოიფრენს, გაივლ-გამოივლის, ეგებ სადმე კორიდასაც ჩააკითხოს. სხვათა შორის, პიარისადმი იმისი ტრფიალის ამბავი რომ ვიცი, არ გამიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ ან მოღრუბლულ დღეს ტორეადორის როლშიც რომ მოგვევლინოს. ბედნიერი იქნება მიშას ვაჟკაცური ხელითა და დაშნით განგმირული ხარი...

მექსიკა... კი არ მახსოვს, ჩვენი პრეზიდენტისგან წარმატებით ათვისებულ უცხო ენათა ნუსხაში ესპანური შედის თუ არა...

მექსიკა-წკეპლიკა — მგონი რითმადაც არა უშავს-რა...

ლუკა გორგაძე.



***P. S.* როგორც სარწმუნო ტელეეკრანიდან გახდა ცნობილი, მექსიკის სამიტში მსოფლიოს 192 ქვეყანა მონაწილეობდა და მხოლოდ 20-ის პრეზიდენტი ჩასულა... ესპანური ენა „შენავალა“ უცხო ენების „იმ“ ნუსხაში... მიხეილ-ბატონთან ერთად სამიტზე ვერა-ქალბატონიც „წანავალა“ — ეკონომიკისა და „მდგრადი კლიმატოლოგიის“ მინისტრი.**

ლ. გ.

ინფორმაცია

## ტერაქტებზე რუსულ კვალს ექსპერტიზა დაამტკიცებს

**საქართველოში განხორციელებულ ტერაქტებში რუსული კვალის არსებობის საბოლოოდ დასადასტურებლად ექსპერტიზაც ჩატარდება. ამის შესახებ საქართველოს შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.**

**ჟურნალიტ მატვეი განაპოლსკისთან მერაბიშვილმა ქართველი სამართალდამცველების მიერ ჩატარებულ სპეცოპერაცია „ენვერსა“ და რუსეთის მიერ საქართველოში დაგეგმილი ტერორისტული აქტების შესახებ ისაუბრა.**

**— იმაზე ფიქრისთვის, რომ ტერორისტული აქტების დამკვეთი რუსეთია, რამდენიმე ინფორმაცია გაგვაჩნია, ეს თავად ეჭვმიტანილების ჩვენებაა, რომელიც, რასაკვირველია, უნდა გადამოწმდეს. ასევე სატელეფონო საუბრები, რომლითაც ირკვევა, რომ ეჭვმიტანილები ყოველი აფეთქების შემდეგ ერთსა და იმავე - რუსულ სატელეფონო კომპანიაში რეგისტრირებულ ნომერზე რეკავდნენ. მეტიც, ის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილებაა, — აცხადებს ვანო მერაბიშვილი.**

**მისივე განმარტებით, „მტკიცებულებების მიუხედავად, საბოლოოდ დადასტურებული პასუხი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გახდება ცნობილი“.**

ХО-ЭОВ-ЭНО

ვითარება

# „რუსეთი ამჯერად არა საქართველოს, არამედ თავად სამხრეთ ოსეთს ეომება“



**„რუსსკი რეპორტიორის“ მიმომხილველ იულია ვიშნევეცკაიას შეფასებით, „რუსეთი ამჯერად არა საქართველოს, არამედ თავად სამხრეთ ოსეთს ეომება“.**

ამის შესახებ ვიშნევეცკაიას მიერ ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების შესახებ სპეციალურ რეპორტაჟშია ნათქვამი სათაურით „ომი ომის შემდეგ: რატომ აგებს რუსეთი ისევ მშვიდობას?“.

**„ოსეთში ომი დღემდე მიმდინარეობს, თუმცა რუსეთი ამჯერად არა საქართველოს, არამედ თავად სამხრეთ ოსეთს ეომება. მართალია, ადამიანები აქ ერთმანეთს არ კლავენ, მაგრამ მათ აშინებენ, ბრალს სდებენ, ციხეში სვამენ და ა.შ. ცხინვალი დღესაც ისეთივე ნანგრევებშია, როგორშიც ომის დროს... 2008 წელს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთს ცხინვალის საკუთარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ჩართვის გეგმა ჰქონდა, თუმცა ეს ამ დრომდე არ მომხდარა. კრემლიდან შემომავალი უზარმაზარი თანხების განკარგვას სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება არაღიარებული სახელმწიფოს კანონებით ცდილობს, მოსკოვის მიერ ამ კუთხით დაწესებულ შეზღუდვებს კი ღალატად აფასებს“,** – აღნიშნავს ვიშნევეცკაია.

ამასთან, მისი მონაცემებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთში „უკვე ერთი წელია, ორხელისუფლებიანობაა“.

**„ერთ წელზე მეტია, რაც აქ ოსების პრეზიდენტისა და რუსეთის პრემიერის არც ისე მყარი ორხელისუფლებიანობა სუფევს. 2009 წელს სამხრეთ ოსეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ ვადიმ ბროვცევი დაინიშნა, რომელიც აქამდე ჩელიაბისნკის მსხვილ სამშენებლო კომპანიას ხელმძღვანელობდა, ცხინვალში კი თანამემამულის, რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილის რომან პანოვის რეკომენდაციით მოხვდა... ის მესამეა, ვის მოშორებასაც კოკოითი ცდილობს. პირველი – იური მოროზოვი თანამდებობიდან ომიდან ერთ კვირაში გაათავისუფლეს. მეორემ – ასლანბეკ ბულაცევმა პოსტზე მხოლოდ სამი თვე გაძლო: მასთან ნიღბიანები მივიდნენ და „ჩამოაგდეს“, თანამდებობიდან გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად კი „ცუდი განწყობა“ დასახელდა. ბროვცევი უკვე მეორე წელია, გაძლების რეჟიმშია, თუმცა არიან კი რესპუბლიკაში ადამიანები, რომლებზე დაყრდნობაც ბროვცევს შეუძლია? – ეს უმნიშვნელოვანესი კითხვაა“,** – წერს რეპორტიორი.

მისივე ინფორმაციით, 2011 წელს რუსეთის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა 6 მილიარდ რუბლს გადააჭარბებს.

**„ბოლო დრომდე რუსეთი ცდილობდა, გამოყოფილი ფინანსური დახმარების ხარჯვა მკაცრად ეკონტროლებინა და სამშენებლო კომპანიებისგან თითოეულ ნაბიჯთან დაკავშირებით ანგარიშს ითხოვდა, მომავალი წლიდან კი სქემა შეიცვლება, თანხა პირდაპირ რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხება, ხოლო რუსული მხარის მოსაზრებები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის იქნება. ასე, რომ, ოსი ჩინოვნიკები გაცილებით მეტ დამოუკიდებლობას მიიღებენ. თუ ბოლო 2 წლის გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ადვილი წარმოსადგენია, რა გამოვა ამ გადაწყვეტილებიდან“,** – წერს ჟურნალისტი.

**ვიშნევეცკაიას რეპორტაჟის სრული ვერსიის გაცნობა შესაძლებელია www.-rusrep.ru-ზე.**

**სააგენტო „პირველი“**

საბანკო სექტორი

# ორმხრივი მოძრაობის ფინანსური ქუჩა

***ბოლო დროს საქართველოს ეროვნული ბანკი საკმაოდ სერიოზულ მუშაობას ეწევა ფინანსური სექტორის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, რაც, უწინარესად, იმას გულისხმობს, რომ კომერციულმა ბანკებმა საბანკო კრედიტის აღებისა და მისი შემდგომი დაფარვის აბსოლუტურად ყველა პირობა გარკვევით უნდა ჩამოაყალიბონ. ამის მისაღწევად კი განსახორციელებელია საკრედიტო ხელშეკრულების სტანდარტიზაცია, რომელშიც გარკვევით იქნება გაწერილი ის ვალდებულებები, რომლებიც მხარეებისთვის შესასრულებლად აუცილებელი იქნება. ამის განხორციელებას კი ეროვნული ბანკი 2011 წლის იანვრისთვის აპირებს.***

მიუხედავად გაუთავებელი ბაქიბუქისა, რაც საქართველოს ეკონომიკის „მიღწევებთანაა“ დაკავშირებული, იგი მაინც ბაგა-ბაღის აღსაზრდელის უმწეო ასაკში რომაა, ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროშიც მშვენივრად იციან, რომლის ბიუჯეტის შევსების პრიორიტეტის გენერალური (თუ არა ერთადერთი!ძ მიმართულება სახელმწიფო ქონების გასხვისებაზე გადის. ამასთან, სათანადო ფინანსური ნაკადების გარეშე ეროვნული ეკონომიკა ვერც იმ ჩვილ ასაკს მიაღწევდა, რომელშიც იგი სადღეისოდ იმყოფება. ამდენად, ეროვნული ეკონომიკისთვის ფინანსური სექტორის გამართულ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გამჭვირვალე მუშაობას, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რაზეც, თავის მხრივ, დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკის განვითარების მიმართულებები და ტემპი. ამავე დროს, ეკონომიკურ და საფინანსო სუბიექტებს შორის ურთიერთობა ორმხრივი მოძრაობის ქუჩას ჰგავს, სადაც თითოეულმა მხარემ სწორად, მოწიფულად უნდა გააანალიზოს საკუთარი შესაძლებლობები და პირნათლად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. არსებული ინფორმაციით, ეროვნული ბანკის მოთხოვნით კომერციულმა ბანკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მცირე სესხების ამღებ კლიენტებთან მუშაობას – საკრედიტო ხელშეკრულებები მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა იყოს.

ყოველივე ამის მიზეზი კი ის არის, რომ სადღეისოდ საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ბაზარზე მხოლოდ ისეთი საკრედიტო ხელშეკრულებები იდება, რომელთა ფორმა და, ხშირად, შინაარსიც, აუცილებლად შესაცვლელია, თუკი ქვეყნის ეკონომიკური სტაგნაციიდან გამოყვანა გვინდა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამჟამად მოქმედ საკრედიტო ხელშეკრულებათა უმრავლესობაში ხშირად ისეთი პუნქტებია ჩართული, რომლებიც ბანკის კლიენტს საბანკო მომსახურების გამოყენებას აზრს საერთოდ უკარგავენ. ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ ბანკების იურიდიული სამსახურები მაქსიმალურად ცდილობენ არა მარტო თავიანთი რეალური, არამედ ვირტუალური რისკების დაზღვევასაც კი.

ამგვარად, ეროვნული ბანკი ამ აქციით, გარკვეულწილად, ჩვენში, ფაქტობრივად, არარსებული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და შესაბამისი სამსახურის ფუნქციის შესრულებას კისრულობს, რომლის პირდაპირი მოვალეობა ყველა ადეკვატური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკის მთავარმა ამოცანამ, კერძოდ, კომერციული ინტერესების დაცვამ მეორე პლანზე გადაიწია. პირიქით, აღნიშნული გეგმის ამოქმედება ბანკებს თავიანთი კლიენტურის შენარჩუნებაში დაეხმარება, რომლის რიცხოვნობა ბოლო დროს ერთობ შემცირდა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

მშენებლობა

# პროფესიონალიზმისთვის წუნი უცხოა...

***როდესაც ლაპარაკია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 18 ნოემბერი 2010 წელი), როგორც ამ ორგანიზაციებთან დაახლოებულ პირს, უმალვე მახსენდება კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის პროექტირების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი („კავგიპროტრანსი“), განსაკუთრებით კი, იგივე რკინიგზის მშენებელი კავკასიის სამშენებლოს ტრესტი („ზაკტრანსტროი“) – ორგანიზაციები, რომელთა აქტივშია ამიერკავკასიის ურთულესი სარკინიგზო მაგისტრალების პროექტირება და მშენებლობა.***

წარსულში ოჩამჩირე-ტყვარჩელის, ქუთაისი-ტყვარჩელისა და ზესტაფონი-საჩხერის რკინიგზის ხაზებს დაემატათ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა. როდესაც ვლაპარაკობთ ამ სარკინიგზო ხაზებზე, რა თქმა უნდა, იგულისხმება მათი მომსახურე ხელოვნური ნაგებობები, რომელთა სირთულე, ხშირად კი უნიკალობა, ნაკარნახები იყო გასავლელი რელიეფის სირთულით, ხშირად კი გრუნტების ავთვისებიანობით.

ხსენებული სპეციალიზირებული ორგანიზაციების მაღალი პროფესიული კოლექტივების წყალობით არ ყოფილა შემთხვევა, რომ პროექტში დაშვებული უზუსტობა ან მშენებლობისას გაპარული წუნი რაიმე უსიამოვნების მიზეზი გამხდარიყოს.

დღეს „კავგიპოტრანსი“ დატვირთვაზე ოცნებობს, არც „საქტრანსმშენის“ კოლექტივს მოსდის ოფლი მუშაობით. სულ მალე კი იწყება გრანდიოზული სარკინიგზო მშენებლობა ბაქო-თბილისი-ყარსი.

ტრესტი „საქტრანსმშენი“ (ეს მისი ახალი სახელწოდებაა)ძის სამშენებლო ორგანიზაციაა, რომელსაც ქვეყნად არეულობის ცნობილ პერიოდში უბრალო ნიჩაბიც არ დაუკარგავს, არ გაფანტულა მისი არც ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ორგანიზაცია მზად არის ნებისმიერ საქმეს შეეჭიდოს, მით უმეტეს, თუ ეს საქმე მისი პროფილია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ობიექტის მშენებლის განმსაზღვრელ ობიექტურად ჩატარებულ ტენდერში „საქტრანსმშენი“ თავის სიტყვას იტყვის.

ვუსურვოთ ქართველ მშენებელთა ამ სახელოვან კოლექტივს გამარჯვება.

**რევაზ ტყემალაძე,**
**ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი**

გამოფენა

# დაათვალიერებდით, მოგეწონებოდათ, შეიძინდით

ავეჯის, ინტერიერის, დიზაინისა და აქსესუარების რიგით მეორე საერთაშორისო გამოფენა Intrenational Furniture Salon დღეს დაიხურა გამოფენების ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ტერიტორიაზე მე-11 პავილიონში.

თბილისის მერიის მხარდაჭერით ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ მიერ მოწყობილი 36 საგამოფენო სტენდზე წარმოდგენილი იყო 50-ზე მეტი უცხოური და ადგილობრივი კომპანიის პროდუქტი და მომსახურება. მნახველთა დიდი მოწონება დაიმსახურა ბერძენ, ფრანგ, უკრაინელ, ფინელ, შვედ, ჩინელ და თურქ დიზაინერთა ნამუშევრებმა – რბილმა, საძინებლის, საბავშვო ოთახის, საოფისე, სამზარეულოს, აბაზანისა და ბაღის ავეჯმა, განათება, საოჯახო ტექნიკამ, კერამიკულმა ნაწარმმა, ინტერიერის აქსესუარებმა, ასევე ტექსტილმა ინტერიერის დიზაინისა და დეკორაციისთვის, ხალიჩებმა, ფარდაგებმა, მანქანა-დანადგარებმა, აღჭურვილობამ და აქსესუარებმა წარმოებისთვის, ხის გადამამუშავებელმა ტექნოლოგიებმა, ავტომატიზირებულმა სისტემებმა და მრავალმა სხვამ.

აღსანიშნავია, რომ გამოფენის დამთვალიერებლებს შეეძლოთ აქვთ დაეთვალიერებინათ თანამედროვე დიზაინერის საავტორო ნამუშევრები, ექსკლუზიური ნივთები, ინტერიერის აქსესუარები და დეკორაციები. უნდა ითქვას, რომ თბილისის მერიის ინიციატივით გამოფენის ფარგლებში ასევე მონაწილეობდა ავეჯის მწარმოებელი კომპანიები, სასწავლო დაწესებულებები, მათ შორის თბილისის სამხატვრო აკადემია, რომელმაც სტუდენტების ნამუშევრები გამოფინა. მნახველებს ასევე შესაძლებლობა ჰქონდათ გასაუბრებოდნენ დარგის სპეციალისტებს, შეეძინათ მოწონებული ნივთები.









**ანა ქაფიაშვილი.**
საინფორმაციო სააგენტო „კაბადონი-8“

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

გულის ბუხარი

# საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ბევრნი ვართ!

## სწორედ ეს მაძლევს იმედს, რომ გადავრჩებით, თორემ ამათ ხელში!..

***შორიდანვე შემომცინა. შემოდგომის ღვთაებრივი დღე იდგა, მზე უშურველად გვაფრქვევდა მხურვალე სხივებს, სითბოს, რაც ესოდენ სჭირდება ჩვენს გასაცოდავებულ, რომ იტყვიან, კუდის რიკამდე გაფცქვნილ მოსახლეობას. ეტყობა, უფალმა შეგვიცოდა! ჰოდა, გამზირზე რომ გავიარე, სწორედ იქ შემხვდა ის ჩემი გალიმებული ძმაკაცი ალექსი. ერთი პირობა გამიკვირდა, ასე რამ გაახარა-მეთქი.***

***არა, ადრე, კარგი ცხოვრებისას, იცოცხლეთ, მასავით ლაღსა და ხალისიანს იშვიათად შეხვდებოდი, მაგრამ ამ ვარდოსნებმა ისე მოუშხამეს ყოფა, ერთხელ ისიც მითხრა, მგონი, სიცოცხლე უკვე აღარ ღირსო.***

— ასე რა გაგხარებია, რა იპოვე-მეთქი, — მეც ხალისიანად მივესალმე. მოვეფერეთ ერთმანეთს.

— ერთ გამოცანას გეტყვი, თუ გამოიცნობ, ხუთკაციან პურ-მარილს ვკისრულობ, თუ არა და...

— მითხარი, თუ ამოვხსენი, ხომ კარგი, ჩემი რა მიდის-მეთქი.

— ძალიან მარტივია. აბა, თუ მეტყვი, 14 მეტია თუ 100?

ისეთი ტონ-გამომეტყველებით მომაფეთა ეს უცნაური კითხვა-გამოცანა, ანაზდეულად შევეჭვდი. ერთი კვირის უნახავი მყავდა, მაშინ რომ დავშორდით, კარგ ჯანზე კი იყო, არაფერს არ უჩიოდა, მაგრამ ამ ვაი-ხელისუფლების ხელში ერთი დღეც საკმარისია, რომ გააფრინო. მით უმეტეს, ალექსის, მცირე ბიზნესი რომ ჰქვია, ის აქვს და ამ ყაჩაღებისგან შემდგარ საგადასახადოს ხელში ლამის უტყაოდ დარჩეს.

— არა, ნუ გეშინია, კარგად ვარ, — მიმიხვდა დაფიქრების მიზეზს, — სერიოზულად გეკითხებიო.

აქვე გეტყვით, ჩვენ თითქმის ტოლები ვართ, რაღაც ორიოდე წლით მეუმცროსება, 1950 თუ 1952 წლებში ჩამოვედით რუსთავში სოფლელი ბიჭები. ეს ის პერიოდი იყო, როცა ქალაქი ფეხზე დგებოდა, ძალას იკრებდა. სიჭაბუკის ქალაქის აღმშენებლობაში ჩვენც მთელი გატაცებით ჩავერთეთ, რუსთავი ხომ ქვეყნის სიამაყე იყო, სრულიად საქართველოდან აქ იყრიდა თავს რჩეული ახალგაზრდობა. აკი ქართული სიტყვის დიდოსტატმა, კონსტანტინე ბატონმა, თავის კოლხურ კოშკში ინტერვიუსთვის მისულს მითხრა კიდეც, რუსთავი საქართველოსთვის მე-20 საუკუნის უდიდესი მონაპოვარია, ქართული სიტყვა კვლავ დაუბრუნდა თავის საბუდარს ქვეყნის აღმოსავლეთის კარიბჭესთანო, ჰოდა, მას შემდეგ მოვდივართ, თუმცა ჩვენი ბობოქარი თაობისანი ცოტანი შემოგვრჩათ.

— თუ კარგად ხარ, მაშ საიდან მოიტანე ეგ შენი გამოცანა, სად 14 და სად ასი-მეთქი.

— ოლოლო, ვერ გამოიცან, — ლუარსაბისეულად ჩაუკახურა, — კარგი პურ-მარილიც დაკარგე. რად ვერ მიხვდი, შევარდნაძის დროს პენსია 14 ლარი იყო, ამ ფულით 15 კილოგრამ წიწიბურას იყიდიდი, ახლა 100-ლარიანი პენსიით კი... ოდესმე წარმოიდგენდი, რომ საქართველოში ნიორი 12 ლარი ეღირებოდა და იმასაც ძირითადად ჩინეთიდან ჩამოიტანდნენ, ბოსტნეულს — თურქეთიდან, ისიც, ღმერთმა უწყის, რისგან მოწეულს, ან ირანიდან ჩამოგვაოხრებდნენ? — ჩემი ძმაკაცის წელანდელ შუქფენილ სახეს ერთბაშად საავდრო ღრუბელი მოექალა, — განა შენ ჩემზე უკეთ არ იცი, ნახევარ საქართველოს ქვემოქართლი რომ ამარაგებდა ბოსტნეულით?

— მარტო გარდაბანში 130 ათასი ტონა ბოსტნეული მოჰყავდათ. — გამომადგა ჟურნალისტური გამოცდილება, ხორბალი ხომ ცალკე, ჯანდარის მეცხოველეობის ფერმაში 44 ათასი მსხვილფეხა პირუტყვი ჰყავდათ, მარნეული და დმანისი ხომ საადრეო კარტოფილს მოსკოვში, ლენინგრადში, შუა აზიის რესპუბლიკებში აგზავნიდა ეშელონებით, ახლა ხილისა და ვენახის ბარაქას არ იკითხავთ? დუღდა ცხოვრება, დიდი და პატარა შრომობდა.

— ჰოდა, ასეთი საოცარი ქვეყანა გვაქვს, ასე ბარაქიანი... გასკდება კაცი გულზე, აბა რა იქნება — ალექსი გაცხარდა, მერე მკლავში ხელი გამომდო, ამიყოლია... რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ბედუკუღმართობით მეც ავდუღდი. არადა, შინიდან იმიტომ გამოვედი, ამ მზენათელ დღეს ცოტა გული გადამეყოლებინა. თუმცა, ჩვენში დარჩეს და, გარეთ კარგს რას უნდა მოელოდე — მოღუშულ, მჭმუნვარე, ჩამოღვენთილი სახის ადამიანებს თუ გადაეყრები, როგორ წაგვართვეს ღიმილი, სილაღე, სიკასკასე, ამ უღმერთოებმა, რა უნდათ, რას გვერჩიან, რითი ვერ გაძღა ამათი მუცელი?

— გუშინ საგადასახადო ისევ თავს დამესხა, ორი ათასი წლიდან დღემდე მოყოლებული რაღაც ვითომ და ვალები ამომიქექეს, მაშინ სალარო აპარატები არ იყო, ქვითრები კი ჰქონდა ბუღალტერიას, ყველაფერი მისხალ-მისხალ დათვლილ-დაანგარიშებული ეგ ქაღალდები ჩვენ არ გვარგია, საკასო ანგარიში გვინდაო, თუ არ მოგწონვართ, სასამართლოში გვიჩივლეო! მერე ეს სასამართლო ვისია? ჰოდა...

— ვიცი, გაგატყავებდნენ, მეწველ ძროხასავით გამოგწურავდნენ-მეთქი და შევეცადე ჩვენი საუბარი სხვა რელსებზე გადამეტანა, — გუშინ თბილისში ჩვენს საერთო ძმაკაცთან ვიყავი. ძველებურად კია სამსახურში. ძვირფასი კაბინეტი ჯერჯერობით კი შემოუნახავს. გაუხარდა ჩემი მისვლა. მაშინვე ვკითხე, ვანოს მისაყურადებელი ხომ არ გიყენია-მეთქი. არაო, მგონი, არაო, — შეეჭვდა, მერე მაინც ჩურჩულზე გადავედით — ჩემო გივი, ხომ ამ ხნისანი ვართ, ლამის საუკუნე მოვიკიდოთ ზურგზე, ასეთი რამ თუ მოგველოდა, ქვეყანა ასე თუ დაიქცეოდა, რას ვიფიქრებდი. კაცო, ეს რამდენი მოღალატე გვყოლია, როგორ ყიდიან ყველაფერს, იმ კომუნისტების გინებაში მთელი ავლადიდება გაანიავეს, მაინც ვერ გასკდა ამათი კუჭებიო.

— ჭკვიანი კაცია, დიდი მეცნიერი, გონიერი, ასაკი კი აქვს, მაგრამ სწორედ მაგ ასაკშია მისი სიმდიდრე და განძი, მაგრამ მეცნიერები, ნასწავლები სჭირდებათ ამ უწიგნურებს? მინისტრი ხარსა და ძროხას რომ ვერ არჩევს და იმას სოფლის მეურნეობას ჩააბარებ, ან ეკონომიკის ლამაზმანი, რუსთავი არსებობს თუ არა, რომ არ იცის... აი ასეთებმა ნიჭიერი, გამოცდილი ადამიანები სანაგვეში მოისროლეს.

ამასობაში ერთ მართლაც ლამაზ ნაგებობას მივადექით, ფრიად ორიგინალურს. რაც მთავარია, იქიდან ისეთი მადის მომგვრელი სურნელი გამოდიოდა, კინაღამ მუხლები მომეკვეთა. ხომ გახსოვთ, როგორ ჩიოდა დიდი ვაჟა, „ქვეყანა იქცა დუქნადაო“. დღეს რესტორნების, კაფეების, სავაჭროების ბუმია და პრეზიდენტი ტურისტების მოსამსახურეებად გადაქცევას გვპირდება.

მართალია ჯიბეში, როგორც ყოველთვის, დიდი ფული არც ახლა მიჭყიოდა, მაგრამ გაბედულად შევყევი. აი იქ კი ქარვისფერმა სითხემ, ჩამოსხმისთანავე ჭიქაში რომ არ ჩერდებოდა, გულის ჯავრი ისე ამოგვაყრევინა, ვანოს მისაყურადებელზე არც კი გვიფიქრია. მაინც ვერ გავარკვიეთ, რა უნდათ, რას გვერჩიან, რას გვემართლებიან, ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველაზე მდიდარი, ყველაზე წარმატებული საქართველოს რესპუბლიკა, რაღაც ოც წელიწადში ნაცარტუტად აქციეს, მიწასთან გაგვასწორეს, ორი მილიონი, რჩეულ-რჩეული, შემოქმედი, ერის გამაძლიერებელი ქართველი ქვეყნიდან გაგვიდევნეს, ქალებს ეგერ დახვრეტით ემუქრებიან, იქ კიდევ მეკობრეების გატაცებულთ სიკვდილი ემუქრებათ, სად რამდენი ისე იღუპება, ჩვენ ვერც კი ვგებულობთ და ნადგურდება ქვეყანა...

**გივი ჯახუა.**

***P. S. სანამ ამ წერილს რედაქციაში გადავაგზავნიდი, დასავლეთში, მშობლიურ სოფელში მომიწია წასვლამ, ჩემი ძმის შვილიშვილი, ჩემი მოსახელე პატარა გივი აგერ ორი წლის გახდა და დღემდე ვერ მოვახერხე ამ მართლაც საოცრად ლამაზი ბიჭის ნახვა. მასთან შეხვედრით კი გავიხარეთ, გზაც კარგია, მაგრამ, ვაი, რომ, სოფელი აღარ არის. უფრო სწორად, შეიძლება ითქვას, რომ სოფელი აღარ გვაქვს გულის. გახეთქვას მაინც არ ვაპირებ, სანამ სული მიდგას, ვიბრძოლებ ჩემი სამშობლოს გადასარჩენად, ვიცი, ჩემისთანები ჯერ კიდევ მრავლად არიან და ქვეყანას ვიხსნით ამ ბოროტი სულებისგან.***

***გ. ჯ.***

ახალი პროექტი

# ხევსურები მთას დაუბრუნდებიან

**მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ოფისში ხევსურეთის განვითარების გეგმებზე იმსჯელეს. პროექტის მიზანი ბარში ჩამოსახლებული მთიელების მთაში დაბრუნებაა.**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ, დაცული ტერიტორიების სააგენტომ და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციამ რამდენიმე პრეზენტაცია გამართეს.

„ამ გეგმების განხორციელება უამრავ ტურისტს მოიზიდავს ხევსურეთში“, — აღნიშნა მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის მოადგილემ ნუნუ მღებრიშვილმა. მისი თქმით, ხევსურეთის განვითარების გეგმები მოიცავს ძეგლების აღდგენას, მის გარშემო ინფრასტრუქტურის განვითარებას, კომუნალური კავშირგაბმულობის სისტემის ამოქმედებას და ხევსურეთში უკან დაბრუნებული ხევსურების სახლების რესტავრაციას.

მისივე თქმით, მომდევნო სამუშაო შეხვედრა მომავალი წლის იანვარში ევროკავშირის ოფისში გაიმართება.



მუცოს კომპლექსის რესტავრაცია-აღდგენისთვის საჭირო თანხებს, სავარაუდოდ, ძეგლთა დაცვის სააგენტო და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გამოყოფენ.

შეხვედრის ორგანიზატორები არიან მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაცია.

შეხვედრას ევროკავშირის, USAID-ს, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, გერმანიის განვითარების ბანკის, „თიბისი ბანკის“ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მიბრძანდა. ღონისძიების გამართვის იდეა პატრიარქს წლეულს ზაფხულში ფშავ-ხევსურეთში სტუმრობისას გაუჩნდა.

ღონისძიებაში ფშავიდან და ხევსურეთიდან ჩამოსული საბავშვო ანსამბლები მონაწილეობდნენ.

**ნატა ნიბლაძე.**

ინფორმაცია

## აჭარაში მოსახლეობის უფლებები ირღვევა

**„ქრისტიან-დემოკრატები“ პარლამენტს აჭარაში მოსახლეობისთვის ჩამორთმეული კერძო საკუთრების საკითხებზე რეაგირებას სთხოვს.**

**ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ**

**გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა. მან მთავრობას და პარლამენტს აჭარის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მხრიდან მოსახლეობის კერძო საკუთრების უფლების უხეში დარღვევის ფაქტებით დაინტერესება ურჩია.**

**— დღეს არის ადამიანის უფლების დაცვის დღე. მინდოდა პარლამენტისთვის მიმელოცა, მაგრამ სამწუხაროდ ამის მიზეზი არ მაქვს, აჭარაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. ჩვენ შევთანხმდით, რომ საკუთრების უფლების დარღვევის საკითხებს მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანდა პარლამენტი, თუმცა ამის ნაცვლად გონიოში მოსახლეობის უფლების დარღვევის ახალი ტალღა დაიწყო და 280 ადამიანს, რომელსაც კუთვნილი მიწის ნაკვეთი პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე აქვს დაკანონებული და ყველა საბუთი წესრიგში აქვს, ნაკვეთები უკანონოდ ჩამოართვეს, — აღნიშნა თარგამაძემ.**

**მისივე თქმით, აჭარის ადგილობრივი მთავრობა და მუნიციპალიტეტი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს უხეშად არღვევს, რაც კერძო საკუთრების დაცვას ეხება.**

ჯი-ეიჩ-ენი



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №174

*ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქციაში გადაღებული ფოტოსურათი არა მარტო უკვე გარდასულ დროებაში აღბეჭდილ მშვენიერ პიროვნებათა ხიბლითაა ღირსსახსოვარი, არამედ განუმეორებელ ურთიერთობათა გამოც...*

*ლიტერატურის ისტორიაში ჩახედული მკითხველი ალბათ იმ ატმოსფეროსაც წარმოიდგენს, რასაც ჟურნალის რედაქტორი მაშინ ახალგაზრდა, დიმიტრი ბენაშვილი ქმნიდა ყველაზე რთულ, გაუსაძლის ეპოქაში. ამგვარ გარემოში ინტელექტუალურთან ერთად სულიერ საყრდენებსაც პოულობდნენ.*

*ამ ადამიანთა ცხოვრება და ბედი სხვადასხვაგვარად წარიმართა.*

*ჟურნალის რედაქტორი – კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ სხვადასხვა წლებში თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე იყო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგე... მრავალი ძალიან მნიშვნელოვანი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი... 1982 წელს იგი დიდუბის პანთეონის მიწამ მიიბარა...*

*მამაზე მოგონება ბატონმა ᲒᲣᲠᲐᲛ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ გაგვიზიარა. თავადაც ლიტერატურულმა მეტრმა, არაერთმნიშვნელოვნად ახსნა მშობლის სამყარო და შემოქმედება. როგორც ჩანს, მას კიდევ ძალიან ბევრი აქვს სათქმელი...*

# ნოსტალგია

ᲐᲠᲘᲡ ხოლმე წარსულის ტკბილ-მწარე ზმანებათა მოძალების ნეტარი ჟამი, განვლილი ცხოვრების სურათებით მოხატული და ამეტყველებული...

ოდენ ამ განუმეორებელი ბინდბუნდიდან სახიერდებიან უახლოეს ადამიანთა ძვირფასი სილუეტები, დღეს, სამწუხაროდ, აღარავის სჯერა სენტიმენტების... მიუხედავად ამისა, ვიქნები გრძნობამოჭარბებული ჩემი აწ უკვე ასი წლის მამის – **დიმიტრი ბენაშვილის** ხსოვნის წინაშე.

ულამაზესი მამაშვილობის წლები... ბრწყინვალე პიროვნების ჩემში შემონახული სათნოებანი... არა და არ ფერმკრთალდება მისი ნათელი და სულიერ გაკვეთილებად მიჰყვება ჩემს ცხოვრებას...

ის იყო ეპოქისათვის შეუფერებლად პრინციპული, ძლიერი, ლამაზი და გულუბრყვილობამდე მართალი... დიდებული ლიტერატორი, კრიტიკოსი და ორატორი... თაობათა აღმზრდელი, ქომაგი და მოღვაწე... გამორჩეული პიროვნული და სტილისტური თვითმყოფადობით აღბეჭდილი მოქალაქე თავისი ქვეყნისა... **პოლიკარპე კაკაბაძისა და კოლაუ ნადირაძის, ალექსანდრე ქუთათელისა და ვიქტორ გაბესკირიას, გიორგი ნატროშვილისა და ლეო მამისაშვილის მეგობარი...**



*ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქცია. დგანან: მარჯვნიდან, გაბრიელ ჯაბუშანური, ვასო ლორთქიფანიძე, ლადო ავალიანი, ლეო კიკნაძე, ალექსანდრე საჯაია, ალეკო შენგელია, რევაზ მარგიანი.*
*სხედან: მარჯვნიდან, გრიგოლ აბაშიძე, ერემია ძართველიშვილი, გიორგი კალანდაძე, ნიკა აგიაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი. პირველ რიგში: ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი. 1940 წელი.*

სწორედ მის ამ უახლოეს მეგობართა ნაამბობიდან ვიცი, ერთ ბესტიარულ დროს, რა რისხვად დასტყდომია თავს მწერალთა სასახლიდან ვაჟა-ფშაველას სურათის გაუჩინარების ინიციატორებს... თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ რისხვის ობიექტები მწერალთა თავყრილობაზე მისული უმაღლესი პარტიული ფუნქციონერები იყვნენ, ცხადი გახდება განრისხების ჭეშმარიტი ფასი და მისი მოსალოდნელი შედეგების სიმძიმე.

ამ უნიკალურ ინციდენტს უმალ დაუპყრია ქალაქის ყურადღება და კარგა ხანს ყოფილა საზოგადოების მითქმა-მოთქმის თუ ჩურჩულის საგანი...

ანალოგიური, პრინციპულობით გაჯერებული არაერთი ეპიზოდი, მისი შუქ-ჩრდილებით მოფენილი ცხოვრების ხვედრი ყოფილა თითქოს...

**რუსთაველის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, პოლიკარპე კაკაბაძისა და სხვა ქართველ კლასიკოსთა** შემოქმედება დიმიტრი ბენაშვილის ანალიტიკური ოპუსებითაც გახდა საცნაური მკითხველისთვის.

ისტორიული და კულტურული კონოტაციებით აღბეჭდილნი, ისინი ქართული კრიტიკული აზროვნების ღირსსახსოვარ „ფურცელს“ წარმოადგენდნენ...

მე-20 საუკუნის ლიტერატურული ცხოვრების ერთი ბრწყინვალე „ლეგენდაა“ ჟურნალი **„ჩვენი თაობა“** და მის ირგვლივ შემოკრებილ ჭეშმარიტ პოეზიაში „გაწდობილთა“ შემოქმედებითი გამოსხივებანი...

**ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, ალექსანდრე საჯაიას** და სხვათა პოეტური შედევრები პირველად სწორედ ამ ეფემერასავით „გამკრთალი“ ჟურნალის ფურცლებს აღბეჭდავდა, რათა მოგვიანებით, მკითხველთაგან უკვე ძალმოსილებს, თავისი კუთვნილი ადგილი დაემკვიდრებინათ დიდ ქართულ პოეზიაში... ეს იყო მაგიური კრისტალის კონფიგურაციებით აღბეჭდილი მრავალფეროვნება ტალანტებისა, მათი ლიტერატურული „კერპების“ წინაშე ლოცვისა და იმავ დროს, მათგან აღძრულ გავლენებთან ჭიდილისა... სიძველეთა ღვთაებრივ მშვენიერებასთან სევდიანი განშორებისა და ახლის შეცნობა-დაგემოვნებისა...

საგულისხმოა, რომ აქ, ჟურნალ „ჩვენ თაობაში“, დაიბეჭდა პირველად არა ერთი ბრწყინვალე ქმნილება ქართველი მწერლებისა, მათ შორის **კოლაუ ნადირაძის** მრავალთაგან ხელნაკრავი და განკიცხული პოეტური შედევრი, უმძლავრესი ეროვნული ობერტონებით აღბეჭდილი ლექსი – „წიწამურიდან საგურამომდე“...



ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ვფიქრობ, არცთუ უმნიშვნელოა ის როლი, რომელიც ღირსეულად აღასრულა მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დიმიტრი ბენაშვილმა, როგორც ამ უნიკალური ჟურნალის რედაქტორმა და ფაქტიურმა სულისჩამდგმელმა...

და, კიდევ:

პოეზიაში მან „აადგმევინა ფეხი“ **ანა კალანდაძეს...** ქართული პოეზიის ამ ანგელოზსს... სწორედ მან დაულოცა მას გზა ეროვნული სულიერების საკრალური ტაძრისაკენ...

ესიც მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივი ღვაწლის ფრიად მნიშვნელოვანი გამოვლინება იყო...

შვილი ვერასოდეს იქნება მამის ობიექტური მსაჯული...

მე კიდევ სხვა რამ მინდა ვთქვა, კერძოდ გავიხსენო მის მიერ სათუთად გადანახული „ფარული“ ჩანაწერები, რომელნიც მთელი სიმძაფრით წარმოსახავენ ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანის სევდას, დაკარგული სიჭაბუკის ცრემლსა და ღირსებაშელახული თაობის ოხვრა-ვაებას...

კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ მხურვალე თანაგრძნობას იმსახურებენ ისინი – ასე საოცრად უიღბლონი თუ ბედისაგან უღმერთოდ განწირულნი... და მიუხედავად ამგვარი დროისა და ყოფიერებისა, ის ჭეშმარიტად კოლოსალური ეროვნული სულიერი კულტურის შექმნელნი, რომლის ანალოგი იშვიათზე იშვიათია მრავალსაუკუნოვან ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

ის იყო სული, გაშიშვლებული ბიწიერი სამოსისაგან, რომელსაც შევყურებდი, როგორც წმინდანს... საკუთარი თავის ჭეშმარიტი მეუფე, იგი თავისში დაუნდობელი გულგრილობით აქრობდა მიწიერი სურვილების „ალს“...

განზე გამდგარი, სნეულებით დაღლილი და ვნებადამცხრალი გაეცალა იგი ამ წუთისოფელს...

ასე და ამგვარად იცოცხლებს ჩემში მისი ძვირფასი სახე... ხატი... პორტრეტი... ვისარგებლებ შვილის ბუნებისგან მონიჭებული უფლებით და სევდიანი სიყვარულით შემოვევლები საუკუნემიღწეული მამის სულსა და ხსოვნას...



**P. S.** ბოლომდე არ უნდა დაგვაჩლუნგოს ჩვენივე უგუნურობით დამახინჯებულმა მორალურმა ატმოსფერომ და არ უნდა დაგვავიწყოს ჩვენივე წარსული და წინაპართა დიდი საქმენი...

უნდა ვიცოდეთ, რომ ცხოვრებისგან ტანჯულნიც კი, ისინი თავისი მოწოდების ერთგულნი რჩებოდნენ და ამიტომაც ჩანდნენ სულიერ ოაზისებად უდაბნოდ ქცევისთვის განწირულ ქვეყანაში... რადგან კარგად მოეხსენებოდათ, რომ სხვაგვარად სულ ამაო იქნებოდა სამშობლოს უბედობაზე ცრემლის ღვრა და გულამომჭდარი ტირილი...



**გ. ბ.**

# თამაზ ჩხენკელის უკანასკნელი ინტერვიუ

***„კვირაძალის“ მკითხველს ვთავაზობთ მწერლისა და მეცნიერის თამაზ ჩხენკელის უკანასკნელ, სამწუხაროდ, დაუმთავრებელ ინტერვიუს, რაშიც მრავალმხრივ საგულისხმო საკითხებია დასმული ქართულ ანბანსა და მის შემოქმედზე.***

***ჩვენს პუბლიკაციას ახლავს ჟურნალ „ვაზი ჯვარისას“ რედაქტორის თინათინ კობალაძის მოგონებაც, თუ როგორ შეხვდა კონსტანტინე გამსახურდია ჰომეროსის ახალგაზრდა მთარგმნელებს თამაზ ჩხენკელს და ზურაბ კიკნაძეს. მადლობას მოვახსენებთ ავტორს მასალის მოწოდებისთვის.***

1975 წელი იყო. მშვენიერი გაზაფხული იდგა. ის-ის იყო, **თამაზ ჩხენკელმა** და **ზურაბ კიკნაძემ** ჰომეროსის „ოდისეას“ თარგმნა დაამთავრეს და ვიდრე სტამბაში წაიღებდნენ, მე ჩემი საკმაოდ მძიმე რეპორტიორით მათ ზურაბის სახლში ვეწვიე (მაშინ რადიოს ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქციაში ვმუშაობდი). დიდი თხოვნის შემდეგ, როგორც იქნა, მათი საუბრები ჩავწერე. თამაზს არ უყვარდა არც მიკროფონი და არც ტელევიზიის კამერა. ძალიან უჭირდა. თითქმის ასევე იყო ზურაც. ბოლოს როგორც იქნა, ყველაფერი დამთავრდა და ცოტა ხანში მათივე თანდასწრებით, ბატონ **კონსტანტინე გამსახურდიასთან** დავრეკე. უნდა გენახათ ბიჭების უეცარი ფერისცვალება. უასაზღვროდ გაიხარეს და სულ რამდენიმე წუთში გალის ქუჩისაკენ მიმავალ გზას დავადექით.

ბატონმა კონსტანტინემ დიდი ყურადღებითა და ალერსით მიგვიღო. უხაროდა საქართველოში ჰომეროსის მთარგმნელები რომ გამოჩნდნენ. დიდი ინტერესით ათვალიერებდა საკმაოდ მოზრდილ, გამოსაცემად გამზადებულ წიგნს. ამბობდა, ამ დიდ საქმეს ბოლო დროს ბევრი ხელმოცარული შეეფარა. ის კი არ იციან, ეს მართლაც რა დიდი და დიდად მნიშვნელოვანი საქმეაო. **ჰომეროსის მთარგმნელი ივანე მაჩაბელზე ნაკლები არ უნდა იყოსო** – თქვა. მერე თამაზს მიუბრუნდა. შენი ბოძიუსისა და თაგორის „გიტანჯალის“ თარგმანები ვნახე. ძალიან მომეწონა. ნამდვილი შედევრებია. დარწმუნებული ვარ, იმედს არც ახლა გამიცრუებო, შემდეგ ზურაბს ჰკითხა, შენი თარგმანები გამახსენე, ყოველთვის ყველაფერს ვერ ვკითხულობო.

– ზურაბმა ძველი ბერძნული და სხვაც რამდენიმე ძველი ენა შესანიშნავად იცის. მასთან ერთად კარგად ვმუშაობ. ძალიან კარგად თარგმნისო, – თქვა თამაზმა და დაუსახელა არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გამოსული „გილგამეშის“ მისეული თარგმანი.

ბატონ კონსტანტინეს ძალიან გაეხარდა. წამოდგა. რა კარგად გითარგმნია, უკვე ვნახეო... მერე ხელში რამდენჯერმე აიღო „ოდისეა“. გადაშალა, დადო... ისევ გადაშალა და ხმამაღლა კითხვა დაიწყო.

– კარგია, ყოჩაღ, ძალიან კარგია! ძალიან მიხარია, ლექსად რომ არ გამოგიციათ. ისედაც ლექსივით იკითხებაო.

ილაპარაკა ლიტერატურული თარგმანის დიდ მნიშვნელობაზე. ამ თარგმანით **თქვენ ქართულ მწერლობაში დიდი საქმე გააკეთეთ...** ააღორძინეთ თარგმანის კულტურა, კარგია, როცა ასეთ რამეს მაინც თქვენნაირი ნიჭიერი ახალგაზრდები პატრონობენო...

ცხადია ილაპარაკა ჰომეროსზეც.

ეს სიტყვა, ისე, როგორც ყველა სიტყვა ბატონი კონსტანტინესი, ძალზე მნიშვნელოვანი იყო. იგი ჩვენს ოქროს ფონდში ინახებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ახლა ვერ ვიპოვეთ...

ჯერ საუბარი დამთავრებული არ გვქონდა, რომ მწერლის ქალიშვილმა ნათელამ სუფრა გაგვიშალა. ბატონმა კონსტანტინემ თითონ აგვივსო ჭიქები ადესა ღვინით და გვითხრა: **გასინჯეთ, ჩემი ვაჟის, ზვიადის დაწურულიაო.**

ბოლოს ეზოში გაგვიყვანა და შვილის ნუკრები გაგვაცნო. გვითხრა ერთ თვეში ისევ მესტუმრეთ, ატმებს დაგიკრეფთო და გამოგვეთხოვა. შევიდა თავის დიდ, ვრცელ უზარმაზარ წიგნებით სავსე სამუშაო ოთახში, რომელთა მსგავსი,



თამაზ ჩხენკელის უკანასკნელი ფოტო, რომელიც სტუდენტმა ეკა ბარდანაშვილმა გადაიღო.

არც სიმძიმით და არც მოცულობით, არსად მინახავს. შვილის ნუკრები კი იდგნენ და გვიყურებდნენ. თამაზი მიუახლოვდა, ორივეს თავზე ხელი გადაუსვა, ეამბორა, ქალბატონმა ნათელა გამსახურდიამ უთხრა თამაზს, არავის არ ეკარებიან, თქვენ კი, საოცარია, როგორ გაგიშინაურდნენო...

ბიჭებს საოცარი განწყობა დაეუფლათ და უეცრად სიცილი აუტყდათ.. საჩვენებელი თითით ანიშნებდნენ ერთმანეთს... კარგია, კარგია... ძალიან კარგია... გაუთავებლად ამ სიტყვებს იმეორებდნენ და იცინოდნენ, მე მეშინოდა, ვაითუ ბატონმა კონსტანტინემ გამოიხედოს და გაგვიჯავრდეს-თქვა...

ძლივძლივობით, როგორც იქნა, ჭიშკრამდე მივაღწიეთ. კარები ფრთხილად გამოვხურეთ და თავდაღმართზე დავეშვით.

## ინტერვიუ თამაზ ჩხენკელთან

– თქვენ ანბანის შესახებ მსჯელობისას, ბრძანეთ, რომ ყველაფერი მათემატიკას, ციფრებსა თუ რიცხვებს ექვემდებარება. გთხოვთ, კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბოთ ეს თვალსაზრისი.



**თ. ჩ.: დავესესხები ავტორს, რომლის შესანიშნავი წერილი გამოქვეყნებულია ჟურნალში „Вопросы Философии“, №12, 1989, გვ. 42.**

**უნდა გავიხსენოთ, რომ მათემატიკის წარმოშობა მისტერიების ატმოსფეროთი იყო გაჯერებული, რომ ის იმთავითვე „გნოსისის“ ტოლფარდი ცნება იყო და მაშასადამე, „მათემატიკოსი“ ნიშნავდა „მცოდნეს“. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ მათემატიკური საიდუმლოებების გაცემა სიკვდილით ისჯებოდა. სწორედ ასეთი მათემატიკა წარმოადგენდა ერთგვარ „თეოლოგიას“, ამ სიტყვის ეზოთერიული მნიშვნელობით...**

**აქ საქმე ეხებოდა უშუალოდ სულიერ სამყაროს, და ადეპტი რიცხვთა წმინდა სიმბოლიკის მეშვეობით ინტუიციურად „არსთა“ მოზიარე ხდებოდა. მათემატიკა იმიტომ ეთანადებოდა „ცოდნას“, როგორც ასეთს, რომ ის წარმოადგენდა არა რაიმე „ერთში“, ანდა რაიმე „სხვაში“, არამედ ერთბაშად „ყოველში და ყველაფერში“ ხელდასხმის განსაკუთრებულ სახეობას.**

**მათემატიკა არა მარტო შემეცნებითი იერარქიის მწვერვალზე იყო აღზევებული, არამედ შემეცნების – როგორც ასეთის – საზომს წარმოადგენდა; არაფერს ისე არ შეჰყავდა კაცი სულიერი სამყაროს საფუძვლებში, როგორც მათემატიკას და სწორედ ამიტომ მიაჩნდა პლოტინს მათემატიკის მიზნად ინტუიციაში გაწაფვა...**

– როგორია თქვენი აზრი ქართული და სომხური ანბანის შესახებ? ვინაა მათი შემქმნელი...

**თ. ჩ.: თუ თქვენ ქართული და სომხური ანბანების სტრუქტურას გულისხმობთ, ჩემი აზრი არაფრით განსხვავდება ცნობილი მეცნიერების (გარდჰაუზენიდან – აკ. შანიძესა და თ. გამყრელიძემდე) თვალსაზრისისაგან. რაც შეეხება ასონიშანთა ფორმას, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევა ჩაატარეს ოლდეროგემ (1970), რამაზ პატარიძემ (1971) და სერგეი მურავიოვმა (1985). სამივე მკვლევრის ნაშრომი უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ, ვფიქრობ, სამივეს ერთი ნაკლი აქვს, ამ ნაშრომებში გაზიარებული არ არის კვადრატის ეტალონი, რაც მათ გრაფიკულ ანალიზს სიზუსტეს უკარგავს.**

– რისთვის, ან ვისთვის არის შექმნილი ქართული ცნობა, სადაც ნაცვალსახელით („ამან“) არის წარმოდგენილი სიტყვით(„ამან“). ადრესატის რანაირ ცნობიერებას ითვალისწინებს ცნობის ავტორი? აკი სწროედ ამ ცნობაზე ორიენტირებულმა სუბიექტმა უნდა გამოიცნოს, ვინ შექმნა ანბანი, ანუ „მწიგნობრობა ქართული“? რატომ დგას იგი ასეთი უცნაური



გამოცანის წინაშე? და, რაც მთავარია, რატომ უნდა შექმნილიყო მისთვის ეს აუცილებლად გამოსაცნობი გამოცანა? რა მაიძულებელი ფაქტორები არსებობდა მისთვის?

**თ. ჩ.: – როგორც ჩანს (უნდა ვივარაუდოთ), ქართული ცნობა შექმნილია იმისთვის, ამჯერად თავი დავანებოთ სხვა მიზეზებს, რომ აიძულოს ამ ცნობაზე ორიენტირებული სუბიექტი დასძლიოს გარკვეული დაბრკოლებები, ანუ ინტუიციურ-ინტელექტუალური ცოდნის ისეთი ბარიერები, რომლებიც არამცთუ პროფანისათვის, განსწავლულთათვისაც (ხელდასხმულთათვისაც) ძნელად გადასალახავია. მაგალითად, დღესაც კი, ბუნებისმეტყველებისა და ესთეტიკის სფეროებში რიცხვული სისტემების დანერგვის ხანაში, ჰუმანიტარული დარგების მკვლევართათვის უინტერესო თუ არა, ძნელად ასათვისებელია არითმოლოგიის, ანუ რიცხვთამეტყველების ის ცოდნა, რომელსაც თავისუფლად და ორგანულად ფლობდნენ ანტიკური ხანის მოაზროვნენი, ხოლო ქრისტიანული ეპოქის საწყის პერიოდში რწმენისა და ფილოსოფიური აზროვნების ისეთი გიგანტები, როგორებიც იყვნენ ნეტარი ავგუსტინე, პროკლე, ფსევდო დიონისე არეოპაგელი, მათი წინამორბედნი და მიმდევარნი.**

**ზემოთქმულის გათვალისწინებით, უნდა დავასკვნათ, რომ ქართულ ცნობაზე ორიენტირებული სუბიექტი პროვოცირებულია. ცნობა მას აიძულებს იმოქმედოს, დასვას კითხვები, რომლებიც მისი ინიციატივის გარეშეც ისმება (ქართული ცნობის მკვლევრების მიერ), და უპასუხოს ამ კითხვებს, არა მარტო თვითონ მისგან დასმულ კითხვებს, არამედ სხვათა მიერ მის საპირისპიროდ დასმულ კითხვებსაც.**

**ქართულ ცნობასთან მიმართებაში აღსანიშნავია ისიც, რომ სომხურ წყაროზე ორიენტირებული სუბიექტი მშვიდად არის. მან იცის ვინ შექმნა სომხური ანბანი, მეტიც, აღნიშნული წყაროს თანახმად, ორივე ანბანი, სომხურიც და ქართულიც მისთვის მშობლიურ გარემოში დაბადებული და გაზრდილი კაცის მიერ არის მოძიებული. იგი კმაყოფილია. ამ მხრივ, გასარკვევი, არაფერი აქვს. მოსაძიებელი და გასარკვევია, რამდენადაც ვიცი, ანბანთა შემოქმედის, „მესროვპ“ – „მაშთოც“ სახელების ონომასტიკური ფესვები და სტრუქტურა...**

**ქართულ წყაროზე ორიენტირებული სუბიექტი კი დისკომფორტს განიცდის. მან არ იცის, ვინ შექმნა ქართული ანბანი. ამიტომ იგი იძულებულია მოიძიოს, მიაკვლიოს, არყოფნიდან გამოიხმოს ქართული ანბანის შემოქმედი.**

– ილიამ ქართულში ხმარებიდან ამოიღო რამდენიმე ასო. რა აზრისა ხართ ამის თაობაზე.

**თ. ჩ.: არსად, არც ერთ წერილში ილიას არ განუცხადებია, რომ ის არღვევს ანბანის მთლიან სტრუქტურას და ამიერიდან ეს ასონიშნები ქართულ ანბანში აღარ უნდა გაჭაჭანდეს.**

**ილიამ ხ-მ-ა-რ-ე-ბ-ი-დ-ა-ნ ამოიღო ეს ასონიშნები იმ მოტივით, რომ წერა-კითხვის უცოდინარ ხალხს გაიოლებოდა ანბანის შესწავლა. დღეს გვიჭირს იმის წარმოდგენა, რომ ხალხმა არც იცოდა წერა-კითხვა. მაშინ, სულ გაზეთის 700 ეგზემპლარი გამოდიოდა: გაზეთის მეტი გამომწერი არ არსებობდა. როგორ შეიძლება ეს შევადაროთ 100 წლის შემდგომ ხანას, როცა მარტო ერთი სამთავრობო გაზეთის ტირაჟი თითქმის მილიონს აღწევდა? და კიდევ, არც თუ მცირე ტირაჟი მქონეა სხვა გაზეთებიც ხომ იბეჭდებოდა!**

**სწორედ ილიას პრინციპული პოზიციიდან გამომდინარეა ამ ასონიშანთა აღდგენის მოთხოვნა. მოტივაცია, რის გამოც ხმარებიდან ამოიღეს ხუთი ასონიშანი, მოხსნილია. ძველი ქართული ლიტერატურის მოზრდილი ტირაჟებით გამოცემამ, ამ ლიტერატურაზე შექმნილმა გამოკვლევების სიმრავლემ ბუნებრივად მოითხოვა მათი აღდგენა. თუ ჩვენ სამების საკათედრო ტაძარში შეკრებილ მრევლს ძველი ქართულით (რომელიც ძირითადში გასაგებია ყველასათვის) ვუკითხავთ ლოცვებს, რატომ არ უნდა იყოს ეს ლოცვები თავდაპირველი ფორმით დაწერილი?! და არა მარტო მხედრული ანბანით! უნდა აღდგეს ასომთავრული ანბანიც, ანბანი, რომლითაც ითარგმნა ფსალმუნი და სახარება და რომლითაც დაიწყო ქართველი ერის ლიტერატურულ-კულტურული არსებობა.**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სწორია თუ არა ყველაფერი, რაც კარგია აშშ-სთვის, კარგია საქართველოსთვის? თუ, პირიქით?

**პოპულარულ მხატვრულ ხერხებს შორის, რომლებიც გვხვდება ვაშინგტონიდან გამომავალ საგარეოპოლიტიკურ კომენტარებში, მე, ალბათ, ბევრი სხვა რეალისტიც, ფიქრობს, რომ ყველაზე გამაღიზიანებელი არის ის, რაც ერთმანეთთან არის დაკავშირებული: რაც კარგია ვაშინგტონისთვის, კარგია ვაშინგტონის ყველა მოკავშირისთვის, აგრეთვე თავისუფლების ზეიმისთვის, ეკონომიკური ზრდისა და დემოკრატიისთვის მთელ მსოფლიოში, და კიდევ უამრავი სხვა რამისთვის.**

ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ერაყზე თავდასხმა – ეს კარგია არა მხოლოდ ჩვენი ეროვნული უშიშროებისთვის, არამედ ეს სასარგებლო იქნება ერაყელებისთვისაც, ვინაიდან სადამ ჰუსეინის ნაცვლად მათთან დამკვიდრდება ლიბერალიზმი და დემოკრატია, ეს კი, თავის მხრივ, კარგი იქნება რეგიონისთვისაც, ვინაიდან ერაყი მისცემს ხალხს სამკურნალო ნიმუშს, იმ ხალხს, ვინც დესპოტურ რეჟიმში ცხოვრობს, ეს კი დადებითად აისახება მსოფლიოზე მთლიანად, ვინაიდან ყველას ცხადად გვესმის, დემოკრატიის გავრცელება ეს კარგია მთელი მსოფლიოსთვისაცო.



რასაკვირველია, აქედან არაფერი გამოვიდა. მაგრამ ვაშინგტონის საგარეოპოლიტიკურ დისკურსში აზრის ასეთი თანმიმდევრობა გვხვდება ლამის ყოველდღე.

ავილოთ, მაგალითად, ჯოშ როჯინის სტატია, რომელიც გამოქვეყნებულია ვიკილიკსის დოკუმენტებში, რომლებიც შეეხება საქართველოს, რუსეთსა და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობათა „გადატვირთვას“. ამ სტატიაში მთავარი მომენტი აისახება სიტყვებში, რომლებიც წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რუსეთში ჯონ ბაიერლიმ 2009 წლის ივნისში:

„გადაწყვეტილება – დავიწყოთ მოძრაობა საქართველოსთან უფრო მყარი სამხედრო თანამშრომლობისთვის – საფრთხის ქვეშ დააყენებს ჩვენს მცდელობას ახლებურად დავიწყოთ ურთიერთობა რუსეთთან. ჩვენი შეფასება ასეთია: თუ ჩვენ ვიტყვით „დიახ“ საქართველოსთან მნიშვნელოვან სამხედრო ურთიერთობებში, მაშინ რუსეთი ეტყვის „არას“ დაძაბულობის ნებისმიერ საშუალოვადიან შემცირებაზე და უფრო ნაკლებად თავშეკავებული გახდება, ანდა სულაც დაიწყებს აქტიურ საპირისპირო მოქმედებას ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესების წინააღმდეგ“.

ბაიერლი აღიარებს, რომ საქართველოს მთავრობას, ალბათ, ურჩევნია იყიდოს იარაღი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს, რომ ამგვარი უპირატესობა ზიანს მიაყენებს საქართველოს ჭეშმარიტ ინტერესებს, ვინაიდან იარაღის მიწოდების გამო რუსეთი ხდება საქართველოსთვის გაცილებით უფრო სახიფათო. ციტატა:

„ჩვენი თვალსაზრისით, საქართველოსთვის სამხედრო იარაღის მიწოდება უფრო მეტ ზიანს მიაყენებს მას, ვიდრე სარგებელს. ჩვენ გვესმის, რომ ჩვენი სავარაუდო მიდგომა დიდად გააწბილებს სააკაშვილს, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის უპირატესობის ნეიტრალიზაციის სხვა საშუალება არ არსებობს, მისი გეოგრაფიული მდებარეობის, ტერიტორიის მოცულობისა და საკუთარი ძალებისა და სახსრების გათვალისწინებით“.

ბაიერლის თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ სააკაშვილი უგუნურია, იარაღის მიწოდება კიდევ უფრო გაზრდის მის მიერ უგუნური მოქმედებების განხორციელების ალბათობას, რაც ზიანს მიაყენებს მასაც, საქართველოსაც და ჩვენც. იმავე სტატიაში რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ამერიკული პროგრესის ცენტრის დირექტორის თანაშემწე სემუელ ჩარაპი ეთანხმება ამას და ავითარებს დაწყებულ მსჯელობას, მოჰყავს ერთი მეორისგან დაშორებული დასკვნა:

„იმის ნაცვლად, რომ ვიდავოთ, შეგვიძლია თუ არა შევასრულოთ საქართველოს სურვილები, ჩვენ უნდა შევჩერდეთ და ვიფიქროთ იმის შესახებ, როგორია ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები. ასეთ სიტუაციაში არანაირი სამხედრო ბალანსი და არანაირი თავშეკავებული სამხედრო პოტენციალი არ არსებობს“.

და კიდევ ერთი ციტატა, ამჯერად კიდევ უფრო ვრცელი მნიშვნელობისა:

„გადატვირთვა იცავს საქართველოს, ვინაიდან რუსეთს ახლა შეუძლია დაკარგოს გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ადრე. ადრე მოსკოვში არავინ ფიქრობდა იმაზე, თუ რას იფიქრებს ვაშინგტონი, ვინაიდან მათთვის სულ ერთი იყო. ახლა კი მათთვის ყველაფერი სულ ერთი არ არის“.

პირველი დასკვნა – ეს არის, როგორც სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა. საკითხი ის კი არაა, რა სურს მისგან კლიენტ სახელმწიფოს, არამედ ის, რა გვინდა ჩვენ. ძალიან სწორია. აი, რაც შეეხება მეორე დასკვნას: თუ კლიენტ სახელმწიფოს სურს, რომ ჩვენ გავაკეთოთ ისეთი რამ, რაც ჩვენს ინტერესებს არ შეესაბამება, მაშინ ჩვენი ინტერესები მათ ინტერესებს აღარ დაემთხვევა, მაშასადამე, უნდა გადავსინჯოთ ჩვენი ურთიერთობა, ხომ ასეა?

არა, ასე არაა. ამის ნაცვლად ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას, რომ კლიენტ სახელმწიფოს არასწორად ესმის საკუთარი ინტერესები და მან სარგებელი უნდა მიიღოს იმისგან, თუ ჩვენ, როდესაც არავის წინაშე გამართლებას არ ვცდილობთ, ვმოქმედებთ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

ობამას ადმინისტრაციაში გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელმა პირებმა გადაწყვიტეს (ჩემი აზრით, სამართლიანადძ, რომ მცირე სარგებელი რუსეთთან ურთიერთობის ერთგვარი დათმობისგან ჩვენთვის აჭარბებს პოტენციურ სარგებელს საქართველოს მოზიდვის პოლიტიკისგან ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების „ქოლგის“ ქვეშ. სწორედ ასეთი გაანგარიშებიდან უნდა გამოვდიოდეთ და არ ვიხდიდეთ ბოდიშს იმისთვის, რომ ჩვენ ასე ვფიქრობთ.

მაგრამ არ არის იმის საჭიროებაც, რომ ვახდენდეთ ჩვენი ინტერესების საქართველოს ინტერესებთან დამთხვევის სიმულირებას. მე რომ მრჩეველი ვყოფილიყავი საქართველოს მთავრობაში საგარეო პოლიტიკის საკითხებში, მთელი ძალით მოვითხოვდი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოგვყიდოს იარაღი, გამოგვიგზავნოს ინსტრუქტორები და გაზარდოს დიპლომატების ყოფნა საქართველოში, და კიდევ მოვითხოვდი, რომ ნატომ მოგვცეს მოქმედებათა გეგმა ალიანსში შესასვლელად, აგრეთვე ყველა დანარჩენი პრივილეგიებიც მოგვანიჭოს.

ჩემი აზრით – სწორედ ეს უნდა გააკეთოს საქართველომ.

ჩვენ გვაქვს სხვადასხვა ინტერესები. მსოფლიო რომ უკეთესად იყოს მოწყობილი, არ იქნებოდა საჭირო იმის მტკიცება, რომ ამერიკის ინტერესები მთელი მსოფლიოს ინტერესებია და პირდაპირ ვაღიაროთ, რომ ჩვენი ინტერესები ყოველთვის როდი ემთხვევა იმათ ინტერესებს, ვისთვისაც ჩვენ სიკეთე გვინდა. ჩვენ სრული უფლება გვაქვს გვქონდეს ჩვენი ინტერესები, მათ კი – თავიანთი ინტერესები. მაგრამ სავალდებულო როდია, რომ ესენი ერთი და იგივე იყოს.

National Interest

# აფხაზეთის აჩრდილები

**აფხაზეთის სასტუმრო „რიწაში“ ცუდად მეძინა. მესიზმრა კოშმარი, რომელშიც დავეხეტებოდი ძველ სახლში ბებერ სტალინთან ერთად, რომელიც რაღაცას ბოროტად ბუტბუტებდა ულვაშებში. დილით როცა გავიღვიძე, ვიფიქრე იმის შესახებ, თუ ვის შეეძლო შეეშფოთებინა ჩემი ძილი და შევადგინე ეჭვმიტანილთა მთელი სია საიქიოდან.**

ამ სასტუმროს თეთრი კედლების მიღმა უნდა ცოცხლობდეს ბევრი აფხაზეთის ურიცხვი აჩრდილებიდან. გამოჯანმრთელების გზაზე მდგარი ტროცკი ცხოვრობდა აქ 1924 წელს და ლენინის დაკრძალვის დღეს აივნის მეორე სართულიდან გამოსამშვიდობებელი სიტყვაც კი წარმოსთქვა თავისი ძველი მეგობრის ხსოვნასთან დაკავშირებით. ანდა, შეიძლება, მე ღამე გავატარე სტალინის მეორე მსხვერპლის – პოეტ ოსიპ მანდელშტამის ოთახში. 1993 წელმა წარმოშვა ახალი აჩრდილები, როდესაც სასტუმრო ფერფლად იქცა ქართველებსა და აფხაზებს შორის ბრძოლის დროს. ის მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ ააშენეს ხელახლა.

აფხაზეთში სადავოა ყველაფერი – წარსულიც, დღევანდელი დღეც და მომავალიც. სადავოა მისი დედაქალაქის სახელწოდებაც კი, რომელსაც ქართველები და დანარჩენთა უდიდესი ნაწილი ქართულ ყაიდაზე „სოხუმს“ უწოდებს, თავად აფხაზები კი „სუხუმს“. ეს არის სიცარიელეების ქალაქი. მე-19 საუკუნის შუა პერიოდში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებისთვის მოახდინეს აფხაზეთის დეპორტირება ოსმალეთის იმპერიაში. 1877-დან 1907 წლამდე მათ, ვინც აფხაზეთში დარჩა, ეკრძალებოდათ ქალაქში და შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრება. მათ ადგილებზე სახლდებოდნენ ბერძნები, ქართველები და რუსები, ცვლიდნენ დემოგრაფიულ ბალანსს ძირეული მოსახლეობის საზიანოდ. 1949 წელს ბერძნების უმრავლესობა სტალინის ერთ-ერთი უგუნური დეპორტაციის დროს ყაზახეთში გადაასახლეს. 1992 წელს აფხაზების უმრავლესობა გაიქცა ქალაქიდან, როდესაც იგი საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ჩაიგდეს ხელში, მაგრამ ერთი წლის შემდეგ აფხაზებმა დაიბრუნეს დედაქალაქი და იქიდან უკვე გაიქცა თითქმის ყველა ქართველი. ამჟამად, 17 წლის შემდეგ, მიუხედავად რუსული ფულის შემოდინებისა და ახალი კაფეების, მაღაზიებისა და სასტუმროების გაჩენისა, ნანგრევები ძველებურად ანიარაღებენ სოხუმის ქუჩებს.

ამრიგად, ნებისმიერი საუბარი აფხაზეთის ისტორიის შესახებ, უდიდეს სიფრთხილეს მოითხოვს. მაგრამ ამან ხელი როდი შეუშალა რუსეთის პარლამენტარს კონსტანტინ ზატულინს შემოსულიყო ამ ტერიტორიაზე, შეიძლება ითქვას, ჩექმებით. ულვაშიანი ზატულინი, სახელმწიფო დუმის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გამოიყურება და საუბრობს, როგორც მეფის ოფიცერი და ზედმეტი დელიკატურობითაც არასოდეს გამოირჩეოდა. თავის დროზე იგი გამოდიოდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების მხარდასაჭერად და ცამდე აჰყავდა 2008 წლის აგვისტოს ომი, როგორც გამარჯვება დასავლეთზე. ამავე დროს მან დაივიწყა ერთი პატარა დეტალი, კერძოდ ის, რომ აფხაზები პრორუსულად განწყობილი არიან უფრო აუცილებლობის გამო, ვიდრე ბუნებრივი ენთუზიაზმით. ამიტომ როდესაც ის ფურცლავდა სტანისლავ ლაკობას აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელოს, რასაც ადგილობრივ სკოლებში ასწავლიან, ის მტკივნეულ ადგილს შეეხო.

ზატულინი საჯაროდ გამოდიოდა ლაკობას სახელმძღვანელოს გაკილვით, აცხადებდა, რომ აფხაზები „ნებაყოფლობით“ შევიდნენ კავშირში რუსეთის იმპერიასთან 1810 წელს და ყოველთვის ჰარმონიულად ცხოვრობდნენ რუსეთთან. კრიტიკიდან რამდენიმე თვის შემდეგ პროგრამული სტატიით „ზატულიზმი“ გამოვიდა ლაკობა. მასში მან გამოაცხადა: „აფხაზეთს შეიძლება „მივულოცოთ“. მას გაუჩნდა პოლიტიკური ცენზორი“. თუმცა თავის სტატიაში ლაკობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთი აფხაზეთის მთავარი მოკავშირეა და ასეთადაც უნდა დარჩეს, იგი ამავე დროს ახდენს გამაფრთხილებელ გასროლას იმ რუსების მხარეს, რომლებიც, მისი აზრით, იმეორებენ ქართველების შეცდომას და მიაჩნიათ, რომ აფხაზებს სურთ იყვნენ რუსეთის პროექტის ნაწილი და არ გააჩნიათ საკუთარი. „მეტად თავისუფალი მოეჩვენა ვილაცას აფხაზი ხალხი და, ეტყობა, გადაწყვიტეს მისი მოთოკვა, გამოეცლიათ მისთვის ნიადაგი – მისი ისტორია“, – წერს იგი.

ლაკობას კრიტიკა აფხაზეთში – დიდი შეცდომაა, ვინაიდან იგი ატარებს თავისი ნათესავის ნესტორ ლაკობას სახელოვან გვარს, პოპულარული ბოლშევიკი ლიდერის გვარს, რომელმაც აფხაზეთისთვის მიაღწია ვრცელ ავტონომიას, დაიცვა იგი კოლექტივიზაციისგან და მოიწამლა სტალინის მთავარი ყურმოჭრილი მონის ლავრენტი ბერიას მიერ. უმცროს ლაკობას არ უნდა გადახდეს თავს რაიმე ასეთივე დრამატული, მაგრამ, როდესაც ჩვენ მასთან ერთად ყავას ვსვამდით სასტუმრო „რიწის“ წინ, მე მასში აღმოვაჩინე ადამიანი, რომელსაც სერიოზულად აღელვებს საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდათ რუსებს მისი სამშობლოსგან.

აფხაზეთის მოზრდილი მოსახლეობის უმრავლესობისთვის ეს საკითხი ძალიან ბევრს არ ნიშნავს. რუსეთთან აზრთა სხვადასხვაობა ისტორიის სახელმძღვანელოს ან საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, მათთვის მეორეხარისხოვანი თემაა იმ ფაქტთან შედარებით, რომ რუსეთი ხალხს უხდის პენსიას და აძლევს პასპორტებს, უხეშად რომ ვთქვათ, მათი აზრით, რუსეთი – ეს არის ის ქვეყანა, რომელმაც დაამარცხა საქართველო და არ აძლევს ქართველებს უკან დაბრუნების საშუალებას. აფხაზეთის ფაქტობრივმა პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ შემდეგნაირად ამიხსნა მდგომარეობა: „რუსეთს ჩვენ ვეომებოდით 150 წლის წინათ, საქართველოს კი 18 წლის წინათ, და რუსეთი ჩვენ ამ ომში დაგვეხმარა. აი, რაშია სხვაობა“.

მაგრამ დავა ლაკობასა და ზატულინს შორის გვახსენებს, რომ აფხაზეთის მომავალზე საუბარი შეუძლებელია, თუ არ გავაღვიძებთ წარსულის აჩრდილებს – ძველსა და ახლანდელს.

National Interest

## დედამიწის ზურგზე



**შვედეთსა და ნორვეგიაში გაიმართება ნობელის პრემიის გადაცემა**

ღონისძიება გაიმართება ალფრედ ნობელის ხსოვნის დღეს – იგი გარდაიცვალა 1896 წლის 10 დეკემბერს. ნობელის პრემიების გადაცემის ამჟამინდელი ცერემონია ანგარიშით 109-ეა. თითოეულში 6 სანობელო დისციპლინიდან მისი ოდენობა 10 მილიონ კრონს (1,46 მილიონ დოლარს) შეადგენს.

* * *

**ეგვიპტური მკვლელი ზვიგენი თავისუფალია. მისგან გადარჩენილმა რუსმა კაპიტანმა ინტერვიუ მისცა**



ამ დროს რუს ტურისტებს დანებება არ სურთ – ისინი საგზურებს არ აბარებენ. შეიძლება, საგზურები გამოიყენონ ნაწილობრივ, დაბრუნებისთვის მაღალი ჯარიმის გამო – ფასის 80 პროცენტამდე. მაგრამ შეკვეთების მოცულობა საგზურებზე თებერვლისთვის უკვე შემცირდა.

* * *

**აშშ-ში დემოკრატებმა ვერ შეძლეს აეკრძალათ არმიაში ღია ჰომოსექსუალისტების სამსახური**



ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიულმა პარტიამ ვერ შეძლო აღეკვეთა წესი, რომელსაც „ნუ კითხულობ, ნუ საუბრობ“ უწოდებენ – მათ ხმების უმრავლესობისთვის სამი ხმა დააკლდათ. ამ წესის შესაბამისად, პენტაგონს არ აქვს უფლება დაინტერესდეს სამხედრო მოსამსახურეების სექსუალური ორიენტაციით.

* * *

**აშშ-ში ქიმიურ ქარხანაში მოხდა აფეთქება: სამი დაიღუპა, ერთი დაიჭრა**

ატმოსფეროში ქიმიური ნივთიერების გადინება არ მომხდარა და ქარხნის პერსონალის ევაკუაციაც არ განხორციელებულა. ეს მოხდა დასავლეთ ვირჯინიის შტატში. ინციდენტის დროს ქარხნის ტერიტორიაზე 25 კაცი იმყოფებოდა. 2006 წელს ამ ქარხანაში კვლავ მოხდა აფეთქება, მაშინ ერთი კაცი დაიღუპა.



## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

### 11 დეკემბერი, შაბათი

I არხი
10.00 მხ. ფილმი „მოჩვენება ფანგასი"
12.15 მხ. ფილმი „ზამთრის ბუნიობა" 1-ლი სერ.
14.00 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა: თსუ-შსს
17.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი
18.00 ქართ. ტელეფილმი „წკიპურტები"
19.20 კონცერტი: ვ. კახიძე, ვ. ტრეტიაკოვი
22.00 ქართ. სერიალი „კა-17"
23.00 სერიალი „ფარი"
00.00 მხ. ფილმი „უკანასკნელი კინოსეანსი"
03.35 მხ. ფილმი „პოეზია"

II არხი
20.00 მხ. ფილმი „მოულოდნელი სიყვარული"
21.30 კონცერტი: „ღიმილი მინდა" სიცილის საღამო ფილარმონიაში
23.20 მხ. ფილმი „პოეზია"

რუსთავი-2
09.00 საბ. სერიალი „სინდბადი"
10.00 სერიალი „კლუბი"
12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა
13.00 მხ. ფილმი „არტური და მინიპუტები"
15.30 მხ. ფილმი „კეთილი ადამიანები"
18.50 სერიალი „დანიელა"
19.50 სერიალი „სად არის ელისა"
22.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები"
23.00 კოდი
00.00 მხ. ფილმი „მწვანე ბილიკი"
02.20 მხ. ფილმი „როგორ მოვკლათ ცოლი"

იმედი
09.15 მხ. ფილმი „ყინულის ზღაპარი"
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები"
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში"
13.00, 18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო"
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა"
17.40 სერიალი „მოჯადოებული"
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული"
23.00 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერიალი „ციხე ოზი"
01.00 მხ. ფილმი „ოთხი ოთახი" (სუბტიტრ.)
03.30 მხ. ფილმი „წინასწარმეტყველი" (სუბტიტრ.)
04.30 მხ. ფილმი „სოციალური კლანი" (სუბტიტრ.)

მზე
11.00 საბ. სერიალი „ოდისეა"
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი"
14.00 სერიალი „ელიზა"
15 00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „სი ეს აი"
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.)
00.00 მხ. ფილმი
02.00 მხ. ფილმი

აჭარა
09.00 მუსიკა
09.30 სერიალი „სკოლის მეგობრები"
12.30, 21.00 სერიალი „პადრე კორახე"
13.15 სერიალი „წყნარი ოკეანის მარგალიტი"
16.30 სერიალი „მოჯადოება"
18.50 მხ. ფილმი „შავი ანგელოზის გაფრენა"
23.00 მუსიკალური პროექტი
23.20 მხ. ფილმი „მეორე სახელი"

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „არასერიოზული კაცი"
15.10 ოპერა
19.25 მხ. ფილმი „ბერნარდა ალბას სახლი"
01.10 მხ. ფილმი „ყვავილი თოვლზე"

საქართველო
08.00 მუსიკა
11.00 სერიალი „სიოგუნი"
12.20 მხ. ფილმი „სიყვარულით პარიზიდან"
14.00 მხ. ფილმი „მაგიური მთა"
15.50. მხ. ფილმი „ჩინგიზ ხანი: ზღვისა და მიწის გასაყარზე"
18.20 მხ. ფილმი „300"
20.30 მხ. ფილმი „10 000 წელი ჩვ. წელთაღრიცხვამდე"
23.30 მხ. ფილმი „სტელსი"
00.45 მხ. ფილმი „ცუდი ლეიტენანტი"

რეგიონი — TV
11.20 მხ. ფილმი „სიყვარული და სხვა კატასტროფები"
12.45 მხ. ფილმი „მატარებელი 123-ის სახიფათო მგზავრები"
14.25 მხ. ფილმი „კინგ-კონგი"
17.45 მხ. ფილმი „კაცი-ობობა 3"
20.40 მხ. ფილმი „ორმაგი ფორსაჟი"
22.25 მხ. ფილმი „გლადიატორი"
01.20 მხ. ფილმი „მეხსიერების დღიური"

### 12 დეკემბერი, კვირა

I არხი
10.00 მხ. ფილმი „მოჩვენება ფანგასი"
12.15 მხ. ფილმი „ზამთრის ბუნიობა" მე-2 სერ.
18.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „დინამო" — „ტორპედო"
22.00 ქართ. სერიალი „კა-17"
23.00 სერიალი „ფარი"
00.00 მხ. ფილმი „კარგი ბიჭები"

II არხი
22.00 ჯ. კახიძის საიუბილეო კონცერტი
23.00 მხ. ფილმი „სიგიჟის ხახაში"

რუსთავი-2
09.00 საბ. სერიალი „სინდბადი"
10.00 სერიალი „კლუბი"
13.00 მხ. ფილმი „ანჟელიკა და სულთანი"
15.20 სერიალი „კაპრი"
18.50 სერიალი „დანიელა"
22.00 სერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები"
23.00 სად? რა? როდის?
00.00 მხ. ფილმი „დედოფალი"
02.20 მხ. ფილმი „ისევ ვიმღერებ"

იმედი
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლები"
12.00, 22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში"
15.00 მხ. ფილმი „ტბა"
18.45 ქართ. სერიალი „გოგონა გარეუბნიდან"
20.30 სტუმრად იუმორინასთან
00.00 სერიალი, „ციხე ოზი"
01.00 მხ. ფილმი „შეხვედრა ვამპირთან" (სუბტიტრ.)
03.45 მხ. ფილმი „ლომის გული" (სუბტიტრ.)

მზე
08.30 მუსიკა
09.00 მხ. ფილმი „ტყუპები"
12.00 სერიალი „ვერონიკა მარსი"
14.00 მხ. ფილმი „ელიზა"
15.00 მხ. ფილმი
18.00 მხ. ფილმი
20.00 სერიალი „ტაქსის მძღოლი"
21.00 სერიალი „სი ეს აი"
22.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.)
00.00 მხ. ფილმი
02.00 მხ. ფილმი

აჭარა
09.00 მუსიკა
09.30 სერიალი „სკოლის მეგობრები"
12.40, 21 00 სერიალი „პადრე კორახე"
16.30 სერიალი „მოჯადოება"
19.00 მხ. ფილმი „მევლუდი"
23.00 მუსიკალური პროექტი
23.20 მხ. ფილმი „თვითმფრინავისკენ გასასვლელი"

ერთსულოვნება
12.20 მხ. ფილმი „ბერნარდა ალბას სახლი"
13.50 ჩარლი ჩაპლინი „ოქროს ციებ-ცხელება"
19.30 მხ. ფილმი „ქალაქი ანარა"
00.40 ოპერა

საქართველო
08.00 მუსიკა
11.00 სერიალი „სიოგუნი"
12.25 მხ. ფილმი „ინკასატორი"
14.00 მხ. ფილმი „პოსეიდონი"
15.50 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი 3"
18.10 მხ. ფილმი „ილიას წიგნი"
20.20 მხ. ფილმი „ბაზა"
22.10 მხ. ფილმი „ომი"
00.00 მხ. ფილმი „ფარვანა"

რეგიონი — TV
11.15 მხ. ფილმი „ფაკერებთან ნაცნობობა"
13.10 მხ. ფილმი „შეშლილი სპეცნაზი"
14.40 მხ. ფილმი „ჯაშუში მეზობლად"
16.15 მხ. ფილმი „გენსბურგი — ხულიგნის სიყვარული"
18.40 მხ. ფილმი „ბოროტების სავანე"
21.10 მხ. ფილმი „თანაკურსელები"
22.50 მხ. ფილმი „შეყვარებული შექსპირი"
01.10 მხ. ფილმი „უცხო მატარებლის წინააღმდეგ"

### 13 დეკემბერი, ორშაბათი

I არხი
15.00, 21.00 სერიალი „ტკბილი, მწარე ცხოვრება"
00.30 სერიალი „ლოს-ანჯელესის სპეცნაზი"

II არხი
09.00 მხ. ფილმი „მოჩვენება ფანგასი"
22.00 მხ. ფილმი „ზამთრის ბუნიობა"
01.00 მხ. ფილმი „კარგი ბიჭები"

რუსთავი-2
10.00 სერიალი „გრძნობათა ტყვეობაში"
11.00 სერიალი „სამუდამოდ შენი"
12.20 სერიალი „შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"
16.00 სერიალი „სიყვარულის საიდუმლო"
16.50 სერიალი „მორენას ვნება"
18.30 „კოდი"
18.50 სერიალი „სად არის ელისა"
22.00 ჯეოსტარი
00.00 საფეხბურთო ღამე
01.00 მხ. ფილმი „იმპერია"

იმედი
10.00 სერიალი „სილამაზის მსხვერპლი"
11.50 სერიალი „მეორე სიცოცხლე"
13.00,18.45 სერიალი „ლოზას საიდუმლო"
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა"
17.40 სერიალი „მოჯადოებული"
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული"
23.30 მხ. ფილმი „მოგზაური" (სუბტიტრ.)
01.30 მხ. ფილმი „კომანდო" (სუბტიტრ.)
03.05 მხ. ფილმი „ბოროტების სავანევ" (სუბტიტრ.)

მზე
09.00 სერიალი „ჩენტო ვეტრინე"
11.00სერიალი „დაუნდობელი სამყარო"
12.00 სერიალი „გაუხსნელი საქმე"
14.30 ფეხბურთი „ხეტაფე" — „ვილიარეალი"
17.00 მხ. ფილმი
19.00 სერიალი „ვნებათა მიწა"
20.00 სერიალი „სი ეს აი"
21.00 მხ. ფილმი (სუბტიტრ.)
23.45 ფეხბურთი. „ვალანსია" — „ოსასუნა"
01.45 მხ. ფილმი

აჭარა
09.30 სერიალი „სკოლის მეგობრები"
11.40, 21.00 სერიალი „პადრე კორახე"
12.50 მხ. ფილმი „ხევისბერი გოჩა"
16.30 სერიალი „მოჯადოება"
19.00 მუსიკა
19.30 სერიალი „წყნარი ოკეანეს მარგალიტი"
23.55 მხ. ფილმი „ადამიანი-გველი"

ერთსულოვნება
12.15 მხ. ფილმი „ქალაქი ანარა"
19.15 მხ. ფილმი „მსე დავბრუნდები"

საქართველო
08.50, 18.35 სერიალი „ტრაფიკი"
10.05 მხ. ფილმი „პიანისტი"
12.45 მხ. ფილმი „ჟან-კლონ ვან დამი"
14.30 სერიალი „ჭეშმარიტების მახვილი"
15.20 მხ. ფილმი „ცეცხლთან თამაში"
19.30 მხ. ფილმი „აშშ" ზღვის ლომები"
21.20 მხ. ფილმი „კაპიტანი ალატრისტე"
23.55 მხ. ფილმი „უძილობა"

რეგიონი — TV
09.45, 19.45 სერიალი „უშნო ბეტი" (მე-6 სერ.)
11.45 მხ. ფილმი „გაიტაცო 60 წამში"
13.35 მხ. ფილმი „ფრენის ილუზია"
15.35 მხ. ფილმი „როგორ მოიცილო ყმაწვილი 10 დღეში"
18.00 მხ. ფილმი „შერლოკ ჰოლმსი"
22.10 მხ. ფილმი „ერთხელ ამერიკაში"
02.55 მხ. ფილმი „ქარით მოლაპარაკენი"

### 11 დეკემბერი

თბილისის არტ ჰოლი
18:00 - „გედების ტბა" — (ბილეთის ფასი — 10, 15, 20 ლარი) ც. დადიანის გამზ. 26, ტელ: 15-32-32, 15-55-30

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1)
12:00 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (ქართულად) — (8 ლარი)
14:30 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (ქართულად) — (10 ლარი)
17:15 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (ქართულად) — (12 ლარი)
20:00 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (რუსულად) — (15 ლარი)
22:15 — „ხერხი 7" 3ე — (15 ლარი) რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

კინოთეატრი „ამირანი" (დიდი დარბაზი)
12:00 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (ქართულად) — (8 ლარი)
14:30 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (ქართულად) — (10 ლარი)
17:00 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (ქართულად) — (12 ლარი)
22:15 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (ქართულად) — (15 ლარი) კოსტავას ქ. 36 ტელ: 99-99-55

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენა)
19:45 — „ქალას ჩიტი მომკვდარიყო" — (ბილეთის ფასი — 6, 7, 8, 9, 10, 12 ლარი) რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

(მცირე სცენა)
19:45 — „რა საოცარი დღეა..." (ჩრდილების თეატრი) — (ბილეთის ფასი — 7-8 ლარი)

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენში)
20:00 — „ტანგო ნაბიჭვართან" — (ბილეთის ფასი — 11 ლარი) მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
20:00 — „მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!" — (ბილეთის ფასი —5, 10, 15 ლარი) რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

თუმანიშვილის თეატრი
19:00 — „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს" — (ბილეთის ფასი — 10 ლარი) დ. ალმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 34-28-99

სამეფო უბნის თეატრი
20:00 - „ჩემი მეგობარი ჰიტლერი„ — (ბილეთის ფასი - 7 - 10 ლარი) გ. აბესაძის ქ. 10 ტელ: 92-38-70, 99-61-71

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
19:00 — „ვერის უბნის მელოდიები" — (ბილეთის ფასი — 10, 15 ლარი) ალმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
20:00 - „ჭკუისა მჭირს" — (ბილეთის ფასი - 10 ლარი; სტუდენტებისთვის - 5 ლარი) ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15

ახმეტელის თეატრი
19:00 — „ვერაგობა და სიყვარული" — (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი) ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

გაბრიაძის თეატრი
19:00 — „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა" (12) — (ბილეთის ფასი — 5, 8, 10, 15 ლარი) შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90, 893 37-95-07

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 — „წითელკანიანთა ბელადი"
15:00 — „პატარა უფლისწული" (ბილეთის ფასი — 5 ლარი) დ. აღმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27

გრიბოედოვის თეატრი
18:00 — „არტურო უის კარიერა" — (ბილეთის ფასი — 5 ლარი) რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06

### 12 დეკემბერი

თბილისის არტ ჰოლი
14:00 — „გედების ტბა" — (ბილეთის ფასი — 10, 15, 20 ლარი) ც. დადიანის გამზ. 26, ტელ: 15-32-32, 15-55-30

კინოთეატრი რუსთაველი (დარბაზი 1)
12:00 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (ქართულად) — (8 ლარი)
14:30 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (ქართულად) — (10 ლარი)
17:15 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (ქართულად) — (12 ლარი)
20:00 — „ნარნიას ქრონიკები" 3ე (რუსულად) — (15 ლარი)
22:15 — „ხერხი 7" 3ე — (15 ლარი) რუსთაველის გამზ. 5 ტელ: 932-253, 555-000

რუსთაველის თეატრი (დიდი სცენა)
19:45 — „თორმეტი განრისხებული მამაკაცი" — (ბილეთის ფასი — 6, 7, 8, 9, 10, 12 ლარი) რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 72-68-68

მარჯანიშვილის თეატრი (თეატრი სხვენში)
20:00 — „ჩემი ჰამლეტი" (პრემიერა) — (ბილეთის ფასი — 11 ლარი) მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

მარჯანიშვილის თეატრი
20:00 — „ანტიგონე" — (ბილეთის ფასი — 4-11 ლარი) მარჯანიშვილის ქ. 8 ტელ: 955-966

თავისუფალი თეატრი
19:00 — „კავკასიური ცარცის წრე" — (ბილეთის ფასი — 5, 10, 15 ლარი) რუსთაველის 2 ტელ: 98-58-21

თუმანიშვილის თეატრი
19:00 — „რა მოხდა სამხეცეში" (ბილეთის ფასი — 7 ლარი) დ. ალმაშენებლის გამზ. 164 ტელ: 34-28-99

სამეფო უბნის თეატრი
20:00 — „სხვისი შვილები" — (ბილეთის ფასი — 7- 10 ლარი) გ. აბესაძის ქ. 10 ტელ: 92-38-70, 99-61-71

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
19:00 — „ვერის უბნის მელოდიები" — (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი) ალმაშენებლის გამზ. 182 ტელ: 34-80-90

ილიას უნივერსიტეტის თეატრი
20:00 — „ძრავა" (ბილეთის ფასი — 10 ლარი; სტუდენტებისთვის — 5 ლარი) ი. ჭავჭავაძის გამზ. 32. ტელ: 29-47-15

ახმეტელის თეატრი
19:00 — „იქ, სადაც ჩემი სახლია" — (ბილეთის ფასი — 7, 10 ლარი) ვეკუას ქ. 8 ტელ: 62-59-73, 62-61-97

გაბრიაძის თეატრი
19:00 — „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა" (12 — (ბილეთის ფასი — 5, 8, 10, 15 ლარი) შავთელის ქ. 13, ტელ: 98-65-90, 893 37-95-07

გრიბოედოვის თეატრი
12:00 — „ემილიას ბედნიერება" — (ბილეთის ფასი — 5 ლარი) რუსთაველის გამზ. 2 ტელ: 93-11-06

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი
12:00 — „წითელქუდა და ერთი გოჭი" 15:00 — „ოქროს წიწილა" „ბუტია" — (ბილეთის ფასი — 5 ლარი) დ. აღმაშენებლის გამზ. 99/1 ტელ: 95-78-74, 95-39-27.

## განცხადება

**თბილისის 175-ე საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს სკოლის შენობის 20 კვ.მ. ფართის და სკოლის ეზოში მდებარე ღია სპორტული მოედნის (4000 კვ.მ.), მესამე პირზე იჯარით გაცემაზე.**

**საქმიანობა:** საფეხბურთო კლუბის ფუნქციონირება.

საიჯარო ურთიერთობების მაქსიმალური ვადაა 5 წელი. საწყისი ფასი 1 კვ.მ. 20 დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის 175-ე საჯარო სკოლაში.

**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისის 175-ე საჯარო სკოლა, მუხიანის დასახლება, III მ/რ-ნი. ტელეფონი: 64 53 07; 877 93 00 75.**

◉ თბილისის „დინამო“

# ეღირსებაო ლუხუმსა...



ეტყობა, მალე წერტილი დაესმება წამყვანი ქართული კლუბის თბილისის „დინამოს“ ფინანსურ პრობლემებს.

ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს ავანსცენაზე მისი მომავალი მეპატრონის, ბიზნესმენ რომან ფიფიას გამოსვლა, რომელიც უკვე შეხვდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ზვიად სიჭინავას და სამოქმედო სტრატეგია გააცნო.

*რომან ფიფია 1966 წელს გაგრაში დაიბადა. საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ რუსეთში გაემგზავრა, სადაც მიიღო უმაღლესი ეკონომიკური განათლება და კერძო სექტორში დასაქმდა. მის სახელს უკავშირდება სარატოვის „სოკოლის“ უმაღლეს ლიგამდე აღზევება. ამჟამად საფრანგეთში მოღვაწეობს.*

„მოვედივარ იმიტომ, რომ თბილისის „დინამოს“ კუთვნილი ადგილი დავუბრუნოთ. დღეს, როცა თითქმის ყველას გამოუჩნდა პატრონი (მაგალითად „ზესტაფონს“, ქუთაისის „ტორპედოს“ძ, „დინამოსაც“ უნდა გამოუჩნდეს სათანადო პატრონი. ჩვენ ჩვენი რესურსები გაგვაჩნია, „დინამოს“ – თავისი“, – ამბობს ჩვენი თანამემამულე.

მისივე განმარტებით, გუნდში საკადრო ცვლილებების განხორციელებას არ აპირებს.

ისიც გაცხადდა, რომ „დინამოს“ ამჟამინდელ მფლობელ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან შეთანხმება უკვე მიღწეულია, ფეხბურთის ფედერაციასა და ახალ მფლობელს შორის შესაბამისი კონტრაქტი კი ერთ კვირაში გაფორმდება.

**გია პლატონიშვილი**

◉ ფიასკო

# ანი – უჩვენოდ



**თურქეთის ქალაქ ანტაკიაში მიმდინარე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის II რაუნდი უკანასკნელი აღმოჩნდა ქართველ მოჭადრაკეთა ტრიოსთვის.**

ჩვენებურთა ლიდერი მაია ჩიბურდანიძე ჩინელ ქსუე ჟაოსთან დამარცხდა – 0,5:1,5, ნანა ძაგნიძე და სოფიკო ხუხაშვილი კი მუნდიალს კლასიკური პარტიების ფრედ დასრულების შემდეგ დანიშნული ტაი-ბრეიკების წაგებით გამოეთიშნენ, შესაბამისად, საფრანგეთის სახელით მოთამაშე ალმირა სკრიპჩენკოსთან და რუს მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკთან. მათ სტარტზე დამარცხებული მაია ლომინეიშვილის ხვედრი გაიზიარეს.

შეგახსენებთ, რომ ოსმალური მუნდიალი 6 ეტაპისგან შედგება და 24 დეკემბრამდე გასტანს, მისი საპრიზო ფონდი კი 450 ათასი დოლარია, საიდანაც ტრიუმფატორს 60 ათასი ერგება.

რაც შეეხება მერვედფინალს, იქ ერთბაშად ხუთი (!ძ ჩინელი გავიდა. ამ ეტაპზე მეტოქენი ასე დაწყვილდნენ:

**კოსტენიუკი – ლუფეი რუანი (ჩინეთიძ, სკრიპჩენკო – ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვაძ, ქსუე ჟაოელენა დემბო (საბერძნეთიძ, ჰამფი კონერუ (ინდოეთიძ – ანაზატონსკიხი (აშშძ, ჰოუ იფანი (ჩინეთიძ – ჩენ ჟუ (ყატარიძ, კატერინა ლაჰნო (უკრაინაძ – ქსიანგ ჰუანგი (ჩინეთიძ, ანა მუზიჩუკი (უკრაინაძ – ვენჯუნ ჟუ (ჩინეთიძ, დრონავალი ჰარიკა (ინდოეთიძ – მარია მუზიჩუკი (სლოვენიაძ.**

◉ მინი-ფეხბურთი

# კავკასიური ხელწერით

**20 გუნდის 200-მდე სტუდენტი მონაწილეობდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მინი-ფეხბურთელთა ჩემპიონატში, რომლის ინიციატორიც ამავე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტი გახლდათ.**

**ორკვირიან მარათონში საუკეთესოდ წარმოაჩინა თავი ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტმა. ფინალში მისმა 191-ე ჯგუფმა 9:3 დაჯაბნა 192-ე ჯგუფის გუნდი და ოქროს მედლებთან ერთად გამარჯვებულისთვის განკუთვნილი თასიც მოიპოვა.**

ტრადიციისამებრ, ტურნირის გამორჩეულ მონაწილეთათვის დაწესებული იყო ინდივიდუალური





პრიზები, რომელთა მფლობელებიც გახდნენ მეკარე გიორგი ტოკლიკიშვილი, ბომბარდირი ვახტანგ ჩიქოვანი და საუკეთესო მოთამაშე თორნიკე ბეჟანიძე. ისინი დააჯილდოვეს კავკასიის უნივერსიტეტის რექტორმა ოლეგ მელაძემ, დამფუძნებელმა დირექტორმა ვახტანგ წიეწივაძემ და ასპარეზობის მსაჯმა ვახტანგ ბაქანიძემ, რომელიც შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტებული კავკასიის უნივერსიტეტის ნაკრების მწვრთნელიცაა. ეს გუნდი ფუტსალის იმ ჩემპიონატში გამოვა, რომელსაც საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია, კომპანია „რომპეტროლ- საქართველო“ და ფუტსალის ეროვნული ასოციაცია მართავენ.

**გიორგი შოთაძე**

◉ ჭადრაკი

# სენსაცია ლონდონში



**სწორედ ასე დაიწყო საჭადრაკო სუპერტურნირი ლონდონში. 26 წლის ინგლისელმა დიდოსტატმა ლიუკ მაკშეინმა, ფიდეს რეიტინგით მე-100 ადგილზე რომაა, თეთრებით დაამარცხა მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე მოთამაშე ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი. მან 39-ე სვლაზე გაიმარჯვა.**

**ტურნირის საპრიზო ფონდია 145 ათასი ევრო:** 1 ადგილი – 50 ათასი, II – ადგილი – 25 ათასი, III ადგილი – 15 ათასი. ყოველ ტურში საუკეთესო პარტიის ავტორი 1000 ევროს მიიღებს.

◉ კალათბურთი

# მხოლოდ შედეგები

**ევროლიგის ჯგუფური ტურნირი. VIII ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** „მაკაბი“ – „პარტიზანი“ 76:62, „პროკომი“ – „ჟალგირისი“ 69:72, „ტაუგრესი“– ხიმკი“ 89:81.

**სატურნირო მდგომარეობა:** „მაკაბი“ – 7, „ჟალგირისი“ – 5, „პარტიზანი“ – 4, „ტაუგრესი“, „ხიმკი“ – 3-3, „პროკომი“ – 2 მოგება.

**„ბ“ ჯგუფი.** „რეალი“ – „რომა“ 72:50, „უნიკახა“ – „ოლიმპიაკოსი“ 76:74, „შარლერუა“ – „ბროზე“ 75:61.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპიაკოსი“ – 6, „რეალი“, „უნიკახა“ – 5-5, „რომა“ – 4, „შარლერუა“ – 3, „ბროზე“ – 2 მოგება.



**„გ“ ჯგუფი.** „ულქერი“ – „ბარსელონა“ 69:75, „ლიეტუვას რიტასი“ – „შოლე“ 92:80, „ციბონა“ – „სიენა“ 66:82.

**სატურნირო მდგომარეობა:** „სიენა“ – 7, „ულქერი“, „ბარსელონა“ – 6-6, „შოლე“ – 3, „ლიეტუვას რიტასი“ – 2, „ციბონა“ – 0 მოგება.

**„დ“ ჯგუფი.** „პანათინაიკოსი“ – „ოლიმპია“ 95:88 (დამატებით დროშიძ, „მილანი“ – „ეფესი“ 84:70, ცსკა – „ „ვალენსია“ 73:63.

**სატურნირო მდგომარეობა:** „პანათინაიკოსი“ – 6, „ოლიმპია“ – 5, „მილანი“, „ეფესი“ – 4-4, „ვალენსია“ – 3, ცსკა – 2 მოგება.

◉ ინტერნეტიდან

## „ბარსელონა“ რეკლამას მიუბრუნდა



**გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ „ბარსელონა“ მსოფლიო ფეხბურთის ერთა-დერთი გრანდია, რომლის სათამაშო ფორმაზეც არასოდეს ყოფილა რეკლამა. რაც შეეხება მათ მაისურებზე არსებულ წარწერას UNICEF, რეკლამა როდია, ამით კლუბი მხარს უჭერს გაეროს ბავშვთა ფონდს.**

იციან, რომ ფინანსური ხარჯები ყოველწლიურად იზრდება, ხოლო ბოლო ხანებში სპორტული წარმატებები გუნდს რეკლამის მიმცემთათვის ყველაზე მიმზიდველს ხდის.

კატალონიური პრესის ცნობით, კლუბის ხელმძღვანელობამ, მხედველობაში მიიღო რა ეს ფაქტორი, გადაწყვიტა, ისტორიაში პირველად განიხილოს სპონსორებთან კონტრაქტების გაფორმების შესაძლებლობა. მისი ლოგოტიპები კი „ბარსელონას“ ფორმაზე გამოჩნდება.

როგორც იტყობინებიან, ახლა „ბარსელონაში“ განიხილავენ რეკლამის განთავსების ვარიანტებს. პირველი – სპონსორის სახელი თავსდება მაისურის წინა მხარეს, რასაც გუნდების უმრავლესობა აკეთებს. ამით კლუბმა, შესაძლოა, „რეალზე“ მეტი, 25 მილიონი ევრო მიიღოს. შედარებით ნაკლებშემოსავლიანი იქნება რეკლამის ზურგზე ან ტრუსებზე განთავსება.

## რონალდინიოსთან ბედნიერია

**უკვე ორი თვეა, რაც რომანტიკული ურთიერთობა აკავშირებთ იტალიელ მოდელს სარა ტომაზისა და „მილანის“ ბრაზილიელ ფეხბურთელს რონალდინიოს. ეს წყვილი შეამჩნიეს მილანის ერთ-ერთ კლუბში, როდესაც ფეხბურთელი იწერდა ლამაზმანის ტელეფონს და აუცილებლად დარეკვას ჰპირდებოდა.**

თავად ტომაზი ჰყვება, თუ როგორ გაიცნო ბრაზილიელი: „ჩვენ ზაფხულში შევხვდით ერთ-ერთ საღამოზე და ჩვენს შორის იფეთქა ნაპერწკალმა“, რასაც, როგორც ჩანს, სიყვარულიც მოჰყვა, ამას კი მალე ალბათ ნიშნობაც დაემატება.



რონალდინიოზე სარა აღფრთოვანებით ლაპარაკობს: „ის საუკეთესოა მათ შორის, ვისთანაც შეხვედრაზე ვფიქრობდი. ის მიმზიდველია, ნამდვილი ოქროს ჭაბუკია. მასთან თავს დიდებულად ვგრძნობ“.

◉ კარიკატურისტის თვალით



სულთათანა

# ის მთელმა საქართველომ დაკარგა

როდესაც ამდენი მტერი და ავისმოსურნე გყავს, მეგობარი და მოყვარე განსაკუთრებით ძვირფასი და ხელიხელსაგოგმანებელია. მით უფრო, თუ ეს მეგობარი ცხრამთა-ცხრაზღვაგაღმელია.

უნგრული წარმოშობის ამერიკელი ფრენკ კოლუმბუსი ქართველების სიძე იყო (სამწუხაროდ, უკვე წარსულში ითქმისძ, საქართველოზე შეყვარებული კაცი. მისი მეუღლე ნადია გოცირიძე, ქართველი მამისა და რუსი დედის მხოლოდშობილი ასული, რუსეთში დაიბადა და აღიზარდა, მთელი ცხოვრება იქ იცხოვრა, მაგრამ მშობლების დიდი მონდომებით სულით ხორცამდე ქართველად ჩამოყალიბდა. მოსკოვიდან ბედმა ამერიკაში მოახვედრა, იქ დამკვიდრდა, მერე ცხოვრება ფრენკ კოლომბუსს დაუკავშირა. ნადია გოცირიძეს არასდროს დავიწყებია თავისი წინაპრების ქვეყანა და ეს თავის მეუღლესაც გადასდო.



ბატონი ფრენკი მოიხიბლა მეუღლის სამშობლოთი. მან თბილისში სახლიც კი იყიდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის რჩევით, რათა საქართველოში ჩამოსვლისას სასტუმროში კი არ ეცხოვრათ, არამედ საკუთარ სახლში, ვინაიდან სამშობლოში ვერავითარი კომფორტული სასტუმრო ვერ შეასრულებდა იმათთვის სახლის ფუნქციას.

ამერიკაში კოლუმბუსების ოჯახს საკუთარი გამომცემლობა — Nova აქვს. ეს სამეცნიერო ლიტერატურის გამომცემლობაა. თუკი ვინმეს ოდესმე სერიოზულად უმუშავია მეცნიერების რომელიმე სფეროში, ის აუცილებლად ექნება გაგონილი. წელიწადში 1700 წიგნს გამოსცემენ. საქართველოში არაფერს ყიდიან, მხოლოდ საჩუქრად გზავნიან თავიანთ გამოცემულ წიგნებს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თითქმის ნახევარი მილიონი დოლარის წიგნები გვაჩუქეს.

რათა უცხოელებს გაეგოთ, რა აუხსნელი ფენომენიც არის ქართული სიმღერა, Nova-მ ახლახან ინგლისურ ენაზე გამოსცა „ქართული სიმღერის მრავალხმიანობა“. სულ მალე გამოვა წიგნი სომეხ ისტორიკოსთა ცრუმეცნიერების შესახებ, რომლებიც გამუდმებით გაჰყვირიან, ლამის მთელი საქართველოს ისტორია სომხურიაო... 2011 წელს გიორგი მთაწმინდელის საიუბილეო წელს — გამოვა მისი ბიოგრაფია და შრომები ინგლისურად... ფრენკი ოცნებობდა გამოეცა ინგლისური წიგნი, სადაც ინფორმაცია იქნება ყველა ქართული ტერიტორიის, ეკლესიის, ძეგლის შესახებ, რომლებიც ჩვენს საზღვრებში აღარ არის და დაიკარგა...

ასეთი კაცი იყო ფრენკ კოლუმბუსი.

სამწუხაროდ, იყო და აღარ არის, რამდენიმე დღის წინათ გარდაიცვალა ნიუ-იორკში.

ეს მხოლოდ მისი ოჯახის დანაკარგი არ არის. ბატონი ფრენკი მთელმა საქართველომ დაკარგა.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

მეგობრები საქართველოდან —

**ოთარ ჟითანავა, ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია**

# სამშობლოს და ოჯახის სიყვარულით გულანთებული

## ვახტანგ შამილაძის ხსოვნას



სიტყვა ვერ დაიტევს, კალამი ვერ აღწერს იმ ტრაგედიას, იმ უბედურებას თუ უბედობას, რაიც მე დამატყდა თავს ამ კვირაში... გუშინ ჩემი სისხლი და ხორცი — უსაყვარლესი დაიკო დავასაფლავე — ხვალ ჩემ სულიერ ძმას, ჩემ უახლოეს მეგობარს ვასაფლავებ. სად არის სამართალი? ნეტავ მეც წავეყვანე მათთან ერთად არსთაგამრიგეს... გასკდა გული... ჩაკვდა სული... ჩემ დაიკო ლიანას უკურნებელი სენი აღმოაჩნდა ამ რამდენიმე თვის წინათ და თითქმის დავმორჩილდი ბედუკუღმართობას მისას — ერთი წლის წინათ ვაჟიშვილი რომ დაკარგა და რამდენიმე წლის წინათ — მეუღლე...

მაგრამ... როგორ შევურიგდე ჩემი უფროსი კოლეგის, ჩემი ძმობილის ვახტანგ შამილაძის დაკარგვას? წინა დღით რომ მითანაგრძნობდა, მაიმედებდა, გვერდში მედგა ეს სალსალამათი, გონებითა და ენერგიით სავსე კაცი, გულანთებული არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ მთლიანად ჩვენი სამშობლოსთვის... სახელოვანი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, ბატონ ვახტანგ შამილაძის მრავალმხრივი მოღვაწეობა უნიკალური მოვლენა იყო თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში... ამ თემაზე ბევრი დაიწერა, ითქვა და არაერთხელ იტყვიან კიდეც არა მხოლოდ აქ, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

მე კი... დღეს მხოლოდ ეს შევძელი ჩემო ძმაო და უფროსო კოლეგავ, ჩემო გზაზე დამყენებელო კაცურო კაცო, შენ დიდ საქმეებსა და პრობლემებთან ერთად, ჩემზე ზრუნვას რომ არ ივიწყებდი... გემშვიდობები, გემშვიდობები კი არა — ნახვამდის...

შენი დულულა —

**ოთარ მიმინოშვილი**

P. S. აკადემიკოს როინ მეტრეველის ინიციატივით შექმნილ სამგლოვიარო კომისიის შემადგენლობა, სადაც ქალბატონებთან ლია მელიქიშვილთან, თამილა ცაგარეიშვილთან, ბატონ გივი ღამბაშიძესთან ერთად მეც ვარ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სახელით, თბილისიდან დიდ დარდთან და მწუხარებასთან ერთად, ბატონ ვახტანგ შამილაძის კოლეგებმა, მეგობრებმა მისი მარადიული ხსოვნის, დაუვიწყარი სიყვარულის იმედით გამოგვაცილეს...

10.12.2010.

მეუღლე ცისანა თოდუა, შვილები ალექსანდრე (ალიკოძ, ხათუნა კარტოზიები, რძალი რუსუდან გორგილაძე, სიძე მინდია გაჩეჩილაძე, შვილიშვილები ინგა, სოფო, კატო, შვილთაშვილი ლუკა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ კარტოზია

პანაშვიდი 12, 13 XII, 17 სთ. გამოსვენება 14 XII, 14 სთ. მისამართი: მიცკევიჩის 15, II სად. II ს.

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“, მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული „აკად. გიორგი წერეთლის სახ. რუსთაველის კომიტეტი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, რუსთველოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გურამ კარტოზია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამ რედაქციის ძველი მეგობარი და ავტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

გურამ კარტოზია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის 1952 წლის კურსდამთავრებულები ჯემალ გაგუნაშვილი, ლექსო გულისაშვილი, ალფრედ ეპიტაშვილი, ბიძინა კარტოზია, ოთარ კახაძე, გივი კაციტაძე, თამაზ მეგრელიშვილი, გივი მჭედლიძე, ლოიდ სეფაშვილი ოჯახებითურთ მწუხარებით იუწყებიან საამაყო თანაკლასელის და მეგობრის

გურამ კარტოზიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის შესანიშნავ ოჯახს.

მეუღლე ქეთინო, შვილები მაია, გულიკო, მადონა, კოხტა, შვილიშვილები, ძმისწულები, სიძეები, რძლები, ბიძაშვილები, ცოლისძმა, ცოლისდები, ქვისლი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ (ლუტაძ
საყვარელიძე

პანაშვიდი 12, 13 XII, 17 სთ. ალ. ყაზბეგის 47ბ III სად. ბინა 32. გამოსვენება ილია მართლის სახელობის ეკლესიიდან 14 XII, 14 სთ. მის. ალ. ყაზბეგის 34ა. შანხაის დასახლება.

ხსოვნა

# ალექსი ნადარეიშვილი



გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი მუშაკი და შესანიშნავი პიროვნება ალექსი კონსტანტინეს ძე ნადარეიშვილი.

დაიბადა ქ. აბაშაში 1923 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემინდვრეობის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე მუშაობას იწყებს აბაშის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მთავარ აგრონომად. ის სამსახურებრივი კარიერის ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა აბაშის რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსად, საქართველოს კპ აბაშისა და გეგეჭკორის (ახლანდელი მარტვილიძ რაიკომის მეორე მდივნად, აბაშის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, დამზადების ინსპექციის უფროსად, აბაშის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს მთავარ სპეციალისტად.

ალექსი ნადარეიშვილი იყო კომპეტენტური, სამართლიანი, ენერგიული და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ხელმძღვანელი მუშაკი. იყო უაღრესად ობიექტური, — როგორც ხელმძღვანელი, გადაწყვეტილებას ღებულობდა მხოლოდ საკითხის ყოველმხრივი შესწავლისა და ყველა ფაქტორის გათვალისწინების შემდეგ. გამოირჩეოდა ქართული სიდარბაისლითა და ადამიანების მიმართ კეთილი დამოკიდებულებით. უყვარდა ახალგაზრდები და უშურველად გადასცემდა მათ წლების განმავლობაში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

მისი კეთილსინდისიერი და წარმატებული შრომა სათანადოდ იქნა შეფასებული, ის დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებითა და სხვადასხვა მედლით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული აგრონომის წოდება.

წავიდა ჩვენგან საზოგადოებისა და ოჯახის წინაშე პირნათელი, ვალმოხდილი, ქართული ტრადიციების მატარებელი კაცი, რომლის ხსოვნა წარუშლელი იქნება ყველა იმ ადამიანის ცნობიერებაში, რომლებიც ალექსი ნადარეიშვილს იცნობდნენ.

ბატონო ალექსი, უფალმა დაგიმკვიდროთ ზეციური სასუფეველი.

ამხანაგ-მეგობრების ჯგუფი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებას გამოხატავენ ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი მუშაკის

ალექსი კონსტანტინეს ძე ნადარეიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

მარინა კანდელაკი, რუსლან რუსია და სპარტაკ ქობულია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი მუშაკი, შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება

ალექსი ნადარეიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებას გამოხატავს

ალექსი კონსტანტინეს ძე ნადარეიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

წიგნი

# „პასუხად სომეხ მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“

**სერიით „მწიგნობრობა ქართული“ გამოვიდა გამოჩენილი ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის მიხეილ თამარაშვილის — „პასუხად სომეხ მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“, რომელსაც მეორე ნაწილად აქვს დამატებული ამონარიდები მ. თამარაშვილის წიგნებიდან — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ და, „ქართული ეკლესია დაარსებიდან დღემდე“. კრებული გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო პროფესორმა ბონდო არველაძემ.**

მ. თამარაშვილის ეს წიგნი — „პასუხად სომეხ მწერლებს...“ პირველად გამოქვეყნდა საუკუნის წინათ — 1904 წელს ცნობილი მეცენატის სტეფანე ზუბალაშვილის ფინანსური ხელშეწყობით. იგი მიმართული იყო გაზეთ „მშაკის“ ე. წ. სომეხი მწერლების — ინჭიჭიანის, ნაჰაპეტიანის, სარუხანის და სხვა სომეხი კათოლიკე მოღვაწეების წინააღმდეგ. უფრო ზუსტად ამ მონოგრაფიის საბაბი გახდა გაბრიელ ტერ-ნაჰაპეტიანის მიერ იტალიურ ენაზე 1902 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი — „სომეხი კათოლიკეები საქართველოში და საკითხი კათოლიკე სომეხთა და ქართველთა შორის“. ამ ნაწარმოებს ჯერ კიდევ 1903 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№22ძ რეცენზიით გამოეხმაურა მ. თამარაშვილი. იგი წერდა — „რა ვნახე ეს წერილი გამოქვეყნებული, დიდად გავკვირდი, ნაჰაპეტიანის მეტიჩრობასა და თავგასულობას ზედ რომ ჩვენს წინააღმდეგ ესოდენ სიცრუესა და ცილისწამებას ევროპაში ავრცელებს. არ იკმარა რაც აქამდე გაუვრცელებია... ამისთვის არ გვინდა უყურადღებოდ დავტოვოთ ესეთი თავხედობა“. ეს თავხედობა ნაჰაპეტიანისა იყო ის რომ, არ არსებობს კათოლიკე ქართველი და თუ ვინმეა, ისიც სომხის მოდგმისა არისო და ა. შ.




განსაკუთრებით გვსურს აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ კათოლიკე სომეხთა ამ გალაშქრებას კათოლიკე ქართველთა წინააღმდეგ აქტიურად უწყობდა ხელს და აქეზებდა მეფე რუსეთის ხელისუფლების მაღალი სასულიერო და საერო ჩინოვნიკები. მათ კუდი კუდზე ჰქონდათ გადაბმული და ერთად ებრძოდნენ ქართველ კათოლიკობას. ეს იყო ცარიზმის სახელმწიფო პოლიტიკა. რუსეთის იმპერატორმა 1886 წელს გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით კათოლიკე ქართველებს აეკრძალათ ქართულად წირვა-ლოცვა. მათ ეს საეკლესიო რიტუალი სომხურ ენაზე უნდა შეესრულებინათ. რუსეთის მეფისგან მიღებული ეს უფლება მოხერხებულად გამოიყენეს სომხის კათოლიკე პატრებმა და დაუყოვნებლივ შეუდგნენ ქართველ კათოლიკეთა სომხურ რიგზე გადაყვანას და შესაბამისად მათ გვარ-სახელთა სომხურად გადაკეთებას.

მართალია მ. თამარაშვილი და ივ. გვარამაძე ათეული წლების განმავლობაში იბრძოდნენ ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში ქართული წირვა-ლოცვის აღსადგენად, მაგრამ ვერა გააწყვეს რა, რადგან კათოლიკე სომხებს ზურგს უმაგრებდა მეფის მთავრობა და ცარიზმის სულგაყიდული ბიუროკრატია.

მართალია მ. თამარაშვილმა საკადრისი პასუხი გასცა სომეხ კათოლიკე მწერალთა ცილისწამებას, მაგრამ ზოგიერთი სომეხი მეცნიერი დღესაც ცდილობს მის რეანიმაციას. ამის შესახებ ის. ბონდო არველაძე — „კვლავ ქართველი კათოლიკეების შესახებ, წიგნში — „როცა უდავო სადავო ხდება“, 2006 (გვ. 159-288ძ.

მ. თამარაშვილის წიგნის — „პასუხად სომეხ მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“ გამოცემებით კარგი საქმე გააკეთა გამომცემლობა „ციცინათელამ“, რადგან მას არ დაუკარგავს აქტუალობა და დღესაც პასუხობს ბევრ საჭირბოროტო საკითხს.

**გულიკო თხელიძე**

## სულიერება



# ვახტანგ გორგასლის მადლი

**13 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმინდა კეთილმსახურ მეფეს ვახტანგ გორგასალს.**

...გასაოცარი იყო ვახტანგ გორგასლის სარწმუნოება, სიბრძნე და ფიზიკური სიძლიერე.

ვახტანგ მეფის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ეკლესიის კეფალიის საფუძვლის ჩაყრა. წმინდა მეფემ იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტერი ააშენა, ხოლო საქართველოში კი — უამრავი საეპისკოპოსო კათედრა, ციხე-კოშკი და ეკლესია-მონასტრები.

სრულიად საქართველოს ფარავდეს წმინდა მეფის მადლი სვეტიცხოვლის დიდი ტაძრიდან.

**გიული ლიპარტია**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ჩინგიზ-ხანმა ჯალალ-ედ-დინის 7 წლის შვილი მოაკვლევინა და მისი გული თავის მწევრებს შეაჭამა.

● „დამიჯერეთ, ხალხო, მე სულაც არ მივეკუთვნები მაქსიმ გორკის თაყვანისმცემელთა რიგს“, — დაჟინებით არწმუნებდა თანამოსაუბრეებს თვით მაქსიმ გორკი.

● 86 წლის ამერიკელი ამგდალია ბალტა შიმშილით გარდაიცვალა, ბანკში კი მის სახელზე 350 ათასი დოლარი და თითქმის ამდენივე ღირებულების ოქრო დარჩა.

● ისტორიკოსები პირველ სერიულ მკვლელად უნგრეთის გრაფინია ერჟებეტ ბატორის მიიჩნევენ, რომელიც გოგონებს აწამებდა და ხოცავდა, შემდეგ კი მათ სისხლში ბანაობდა, რომ ახალგაზრდობა შეენარჩუნებინა. გადმოცემით, გრაფინია ბატორიმ 600 გოგონა გამოასალმა სიცოცხლეს. მას 1611 წელს შინაპატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ სასამართლოს წინაშე არასოდეს წარმდგარა, რადგან ბატორების საგვარეულოს წარმომადგენელი იყო (პოლონეთის მეფე სტეფანე ბატორის დისშვილი და ტრანსილვანიის მმართველ გაბორ ბატორის და იყო), მხოლოდ მისი შინამოსამსახურეები დასაჯეს სიკვდილით იმისთვის, რომ გრაფინიას მკვლელობებში ეხმარებოდნენ. უნგრეთში გრაფინიას დღემდე „ტრანსილვანიის საშინელებად“ მოიხსენიებენ და სისასტიკით გრაფ დრაკულას ადარებენ.

● საუდის არაბეთის უკანასკნელი მეფე იბნ საუდი 400-ჯერ იყო დაქორწინებული. შეეძლო, ექორწინა ნებისმიერ გოგონაზე, რომელიც მოეწონებოდა, და მეორე დილით ისე განქორწინებული-ყო, როგორც კანონი მოითხოვდა.

● ჩრდილო აფრიკაში მცხოვრებ 30 წლამდე მამაკაცს შეუძლია 30-ჯერ დაქორწინდეს, თანაც რამდენიმე ასეული ცოლი ჰყავდეს.

● 1923 წელს ქალაქ ვენაში შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დამნაშავეებს სხვა ქვეყანაში დამალვის შანსს არ უტოვებს — ეს არის ინტერპოლი.

● ნაციზმის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი — იოზეფ გებელსი ოთხი წლის ასაკში პოლიომიელიტით დაავადდა და ოპერაციის შედეგად ცალი ფეხი 10 სმ-ით დაუმოკლდა, თუმცა თავად ყველგან, განსაკუთრებით კი ქალთა გარემოცვაში, ამტკიცებდა, ფეხი ფრონტზე მიღებული ჭრილობის გამო დამისახიჩრდაო.

● პენტაგონი (აშშ) მსოფლიოში ყველაზე დიდი ადმინისტრაციული შენობაა.

● ჰიროსიმაში ატომური ბომბი პოლკოვნიკმა კლოდ იზერლიმ ჩამოაგდო.

● 1692 წელს მასაჩუსეტსის შტატში ჯადოქრობისათვის 150 კაცი დააპატიმრეს, მათგან 31 გაასამართლეს და განაჩენი გამოუტანეს, აქედან 20-ს სასიკვდილო გასამართლებულთაგან 6 მამაკაცი გახლდათ. ჯადოქრები ცეცხლზე არ დაუწვიათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მათ ცეცხლი ვერაფერს ავნებდა. ისინი ჯერ ჩაქოლეს, შემდეგ კი გვამები ქალაქში დაკიდეს.

● მაგელანის შესახებ ყველამ ორი რამ იცის: მან მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა, რომლის დროსაც ფილიპინებზე მოკლეს. სინამდვილეში მაგელანმა მხოლოდ გზის ნახევარი გაიარა. მოგზაურობა მისმა მოადგილემ, ხუან სებასტიან ელკანომ განაგრძო და დაასრულა კიდეც.

## გამოიწერეთ!

# ყველაზე იაფი სახალხო გაზეთი — საქართველოს რესპუბლიკა

### რომელიც 1918 წლიდან გამოდის

ჩვენ კვირაში ხუთჯერ გამოვდივართ, კვირისა და ორშაბათის გარდა. ამ ხუთი დღის განმავლობაში მკითხველს მარტო ჩვენი გაზეთის საშუალებით შეუძლია, სრულად მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, გაეცნოს აგრეთვე ამ მოვლენების სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ანალიზს.



გაზეთის რედაქცია შეძლებისდაგვარად ყოველთვის ცდილობდა და კვლავაც შეეცდება, რომ ჩვენი გაზეთის „სუფრაზე“ ყოველგვარი გემოვნების მკითხველმა დაიკმაყოფილოს თავისი ცნობისმოყვარეობის „მადა“.

ამ თვალსაზრისით ჩვენ მუდამ ვიყავით და მომავალშიც დავრჩებით ყველაზე სანდო, ჭეშმარიტ სახალხო გაზეთად, რომლის ფურცლებიდანაც თვითონ ხალხი ლაპარაკობს თავის გულისნადებს.

ვისაც უნდა, რომ მომავალი წლიდან ფოსტამ ყოველ სისხამ დილით „საქართველოს რესპუბლიკის“ ცხელ-ცხელი ნომერი მიაწოდოს, შევახსენებთ იმ ორგანიზაციების ტელეფონის ნომრებს, რომლებიც შეუზღუდავად გამოგიწერენ გაზეთს: „მაცნე“ — 37-61-53; „პლანეტა „ფორტე“ — 93-38-75; „პრესექსპრესი“ — 96-23-11; „ელვასერვისი“ — 38-80-02; „ჯეომედია“ — 95-51-70; „საქპრესა“ — 51-59-05; „საქპრესა+“ 51-57-43; „ინფო“-2007 — 34-11-40; „პრეს+“ 14-23-97.



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7604 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3346 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7594 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.6267 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ჭინჭარსიტყვა

### ს ა ვ ა ი ო

*კვლავ ხუშტურებით მართავს ქვეყანას,*
*ახეთქებს, ცრუობს, გააქვს თავისი.*
*ვაჰ, რომ აქამდე ვერა და ვერა*
*ვერცვინ მიუზღა ს ა ა კ ა დრისი...*

თამაზ ილმელი


### შ ე ვ ი ძ ე ნ

მედლებს, ორდენებს, ხმლებს, ხანჯლებს, ყველანაირ ძველებურ ნივთებს.
855-42-05-82.


### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +5 – +10 |
| ქუთაისი. | +8 – +15 |
| ბათუმი. | +7 – +13 |
| ზუგდიდი. | +11 – +16 |
| თელავი. | +5 – +13 |

## კადრი



## ანეკდოტები

დარაჯმა დაიჭირა ბიჭი, რომელიც ვაშლს იპარავდა.
— მე შენ გასწავლი, როგორ უნდა ვაშლის მოპარვა!
— მასწავლე, ბიძია, თორემ მესამედ მიჭერენ.

* * *

ლოთი, რომელმაც სმას თავი დაანება, ტირის:
— ღვიძლი, ღვიძლი მეცოდება, ხალასტოიზე რომ მუშაობს.

* * *



მამაკაცისთვის პრობლემა მაშინ კი არ იწყება, როცა ქალი მისი ფულის გამო იხდის, არამედ მაშინ, როცა მისი ფულით ჩაცმას იწყებს.

ცოლი ეკითხება ქმარს:
— რას ნიშნავს მრავალფეროვნება?
— ეს ნიშნავს: ნატაშას, ზოიას, ვალიას, ირას, ლუსიას.
— ჰოოო, გასაგებია! — ამბობს ცოლი, — ე. ი. ვასია, პეტია, ვანია, იგორ. შენ კი, ჩემო კარგო, ბოზოზას მრავალფეროვნებაში ნუ ურევ.

* * *

სიყვარულის ცეცხლი უფრო აგიზგიზდება, თუკი ფულს შეუკეთებ.

* * *

ორი მამაკაცი საუბრობს:
— ჩემი სიდედრი ქალის იდეალია, ბუნების სრულყოფილი ქმნილება, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აქვს.
— რა? — ეკითხება მეორე.
— რა და, სუნთქავს, — პასუხობს პირველი.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.